# საერთო გაზეთი

№16 (566) • 3 ივნისი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## როდის უნდა გადაეჩვიოს საქართველო კარგი საქმეების მკეთებელი ადამიანებისთვის „მკლავის მოჭრის“ მავნე ჩვევას?



თუ რაღაცას აფუჭებ, კი ბატონო, იყავი და აფუჭე, რამდენიც გინდა, მაგრამ კარგი საქმეების კარგად კეთება ვისთვის უპატიებიათ, გიორგი გახარიას რომ ეპატიოს?



ნოდარ ჭითანავა:

## გვჭირდება გარღვევის სტრატეგია – მობილიზაციური (ინოვაციური) განვითარება

ელიზბარ ჯაველიძე:

## ვანო კილურაძის დასიზმრება, ანუ ქირო, საიდან მოდიხარო?



## ნიკა ბერიძე: ვანო „გაღლეტილი“, სინამდვილეში, მილიარდერია და სხვადასხვა პირებზე გადაფორმებულ უზარმაზარ ქონებას ფლობს









სოსო არჩვაძე:

## კორონაეპიდემია თავისი მასშტაბებით მსოფლიო ომის მასშტაბებს უტოლდება

მამუკა არეშიძე:

## დარწმუნებული არ ვარ, რომ ოპოზიციას არჩევნების ჩატარება უნდა





გრიგოლ იზორია:

## მე არც გიჟი ვარ, არც ფანტაზიორი-მეოცნებე და არც „მანია გრანდიოზა“ მჭირს, მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელმაც ცოტათი გაუსწრო დროს...

ჩემი აღმოჩენების განხორციელება საქართველოს აძლევს შანსს, გახდეს წამყვანი სახელმწიფო მსოფლიოში და მსოფლიო გახადოს სხვანაირი



ლადო ბოჟაძე:

რისი თქმა უნდათ ნაცებს - მილიონზე მეტი ამომრჩევლისთვის 5 კგ. კარტოფილი უფრო ძვირფასია, ვიდრე მთელი ოპოზიცია?

## 26 მაისი, ანუ ჰელმუტიდან გიგა მაქარაშვილამდე

თუ ყარყარაშვილი ეროვნული გმირია, მაშინ კიტოვანიც და იოსელიანიც ეროვნული გმირები ყოფილან

## მლაშეები მიშლამისტური ფუნდამენტალიზმის ბანაკიდან

ვუყურებ ამ ლაშა ბუღაძეს და რატომღაც ლევან ბერძენიშვილის გაკეთებული მგონია...

# როდის უნდა გადაეჩვიოს საქართველო კარგი საქმეების მკეთებელი ადამიანებისთვის „მკლავის მოჭრის“ მავნე ჩვევას?



**ვახტანგ ხარჩილავა:**

„ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს — რატომ კარგი აგიგია“, — ეს დიდი დრამატიზმით სავსე ხალხური ლექსი მახსენდება, გიორგი გახარიას გარშემო დატრიალებულ ათასგვარ მითქმა-მოთქმას რომ ვუსმენ.

გიორგი გახარიას იმდენი კარგი საქმე აქვს გაკეთებული, შეიძლება მთლად მკლავი არ მოჭრან, მაგრამ დაკავებული თანამდებობიდან კი გადააყენონ.

თუ რაღაცას აფუჭებ, კი ბატონო, იყავი და აფუჭე, რამდენიც გინდა, მაგრამ კარგი საქმეების კარგად კეთება ვისთვის უპატიებიათ, გიორგი გახარიას რომ ეპატიოს?

მართლაცდა, რა გააჭირა საქმე ამ გიორგი გახარიამ თავისი შესანიშნავი მენეჯერული უნარებით, კრიზისული სიტუაციების მართვის უბადლო ნიჭით, თავისი პრინციპულობით და შეუპოვრობით?

— გახარია რომ არ ყოფილიყო, ნაცები, ევრონაცები და მათზე მიტმასნებული პოლიტიკური პარაზიტები, „პლანაქეშების“ საკმაოდ მრავალრიცხოვანი არმიით და ლგბტ თემით ზურგგამაგრებული, კარგა ხნის წინათ იქნებოდნენ ხელისუფლებაში მობრუნებულნი და ვიცხოვრებდით ახლა დემოკრატიით გადაღალანებულ ქვეყანაში, პირში ლაგმით, უკანალში ცოცხით და დუბინკით, ნახევარი ციხეში, ნახევარი — „ვოლნი ხაჟდენიაზე“, მაგრამ ამან, ამ გახარიამ, იმდენი ქნა, მათი ყველანაირი მცდელობა ჩაშალა.

ამასაც არ დასჯერდა „თავხედი“ გახარია და გასული წლის 20–21 ივნისს კარგად ორგანიზებულ და დატრენინგებულ მოიერიშეთა ჯგუფებს პარლამენტში შეჭრის და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის საშუალება არ მისცა, რითაც ე.წ. ოპოზიციური პარტიები, განსაკუთრებით კი ნაცები და ევრონაცები, სამუდამოდ გადაიკიდა მოსისხლე მტრებად.

რას ჰქვია პატრიოტულად განწყობილ ახალგაზრდებს და მათ ზურგს წამქეზებელ ვეტერან გაიძვერებს და არამზადებს, თავიანთ თავს მეტსახელად პოლიტიკოსებს რომ უწოდებენ, პარლამენტში შეჭრის უფლებას არ აძლევ?

ამას ვინ გაპატიებს, ძმაო?

„ვარდების რევოლუციის“ „დიდებული“ ისტორია მაინც არ უნდა გახსოვდეს, როცა ვიღაც-ვიღაცებმა „აჯანყებულებს“ პარლამენტის კარები გაუღეს და ბებერი შევარდნაძე დარბაზიდან გააქციეს.

აი, ეგ იყო თუ იყო სახელმწიფო გადატრიალება, თუმცა ისტორიას მაინც „ვარდების რევოლუციის“ პოეტურ-რომანტიკული სახელწოდებით შემორჩა.

ე.წ. გავრილოვის ღამესაც — ახალგაზრდების ზურგს ამოფარებული იგივე ძველი გადამტრიალებლები უტევდნენ პარლამენტს, პოლიციელებს ფარები წაართვეს, ხელკეტები წაგლიჯეს, ჩაფხუტები მოხსნეს, სცემეს, დაასისხლიანეს, ოთხჯერ მიიტანეს იერიში, ოთხჯერ, ეს გახარია კი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და არა და არ გაატარა „მშვიდობიანი“ მოიერიშეები პარლამენტისკენ.

არ არის ახლა ამის ჩამდენი გახარია მოსახსნელი?

ადამიანებს პარლამენტში შეჭრის და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის უფლებას რომ არ მისცემ, რანაირი დემოკრატი ხარ შენ და ყოველივე ამის შემდეგ რა ნამუსით იკავებ პრემიერ-მინისტრის პოსტს? — დღემდე საყვედურობენ გახარიას ბოკუჩავები, სამადაშვილები, მაქარაშვილები, რუხაძეები, ზუკები, მელიები, ოქრუაშვილები, უგულავები და ბოკერიები, ეს გახარია კი მაინც არ იტეხს იხტიბარს და არსადაც არ ვაპირებ წასვლასო — იძახის.



წასვლა კი არა მოვედიო, — ესეც კი თქვა ამ ერთი კვირის წინათ.

როგორც ჩანს, კორონავირუსთან ბრძოლის ზეწარმატებულმა შედეგებმა გაათამამა ძალიან, თუმცა ოპოზიციონერები, ამ მართლაც ბრწყინვალე შედეგების მიუხედავად, მაინც უკმაყოფილონი არიან.

იქნებიან უკმაყოფილონი, აბა, არ იქნებიან?

იმხელა იმედებს ამყარებდნენ ამ კორონა ეპიდემიაზე, თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ გავეშებულ კორონას, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება დიდხანს ვერ გაუძლებდა და თავშერცხვენილი და დამარცხებული თავისი ნებით დატოვებდა პოლიტიკურ ასპარეზს, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, ოპოზიციის მიერ უნიათოდ მონათლულმა „ქართულმა ოცნებამ“ ისეთი ფხა გამოიჩინა, ისეთი ორგანიზატორული ნიჭები გამოავლინა, ისეთ შეკრულ და მობილურ ძალად იქცა, რომ არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში ქართული სახელმწიფო ყველაზე წარმატებულ და ყველაზე მოწინავე სახელმწიფოთა რიგებში გაიყვანა.

ცხადია, ამ წარმატებაში უმთავრესი და უპირველესია ქართველი ექიმების როლი, მაგრამ მხოლოდ ექიმები ვერაფერს გახდებოდნენ, მთავრობის ყველა სტრუქტურას უშეცდომოდ და ფილიგრანულად რომ არ ემუშავა, ამაში კი პრემიერ-მინისტრ გახარიას უდიდესი წვლილი რომ მიუძღვის, ამის უარყოფა შეუძლებელია, თუმცა, როგორც ჩანს, ეს დიდი წარმატება დიდად არ გახარებია ბევრს, როგორც შინ, ისე — გარეთ.

როგორ უნდა ეპატიოს გახარიას და მის გუნდს, რომ საქართველოში კორონავირუსის მსხვერპლთა რაოდენობა თორმეტს არ აღემატება, მაშინ როცა სხვადასხვა ქვეყნებში ათასობით და ათიათასობით ადამიანი შეიწირა ამ ეპიდემიამ.

მხოლოდ თორმეტი მიცვალებული! — არა, არა, ნამდვილად დასასჯელია ეს გახარია — როგორი არასოლიდარობაა, როგორი ამპარტავნობა და სითამამეა.

ათასი, ორიათასი კაცი რომ მომკვდარიყო, კიდევ ჰო, მაგრამ მხოლოდ თორმეტი მიცვალებული? ეს უკვე არანაირ ჩარჩოსა და სტანდარტებში არ ჯდება. ვინ გაპატიებს ამ თავხედობას?

არც გვაპატიეს და მყისვე პო-




„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ლიტპატიმრების თემა შემოგვიგდეს — პოლიტპატიმრები გყავთ თქვენ მანდ — გიგილო, ოქრო და ჟორიკა — წესიერი, პატიოსანი ბიჭები — არც მილიონები მოუპარავთ, არც პარლამენტში შეჭრა უცდიათ, არც არავინ მოუკლავთ, თქვენ კიდევ პოლიტიკური იდეების გამო დევნით და ციხეში ამწყვდევთ. დროზე გამოუშვით, თორემაო...

ორი გამოუშვეს, ერთი, ჟორიკა, ჯერ კიდევ ციხეშია.

სანამ ჟორიკა ციხეშია, მანამდე საქართველოში დემოკრატიის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშაა! სანამ ალალ-მართალი ჟორიკა ციხეში იტანჯება, მანამდე კონსტიტუციის ცვლილებაზე და თავისუფალი, სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე ფიქრიც კი ზედმეტია! თავისუფლება პოლიტპატიმარ ჟორიკას! — აღშფოთებას და მრისხანებას ვერ მალავენ ოპოზიციური პარტიები და ამ ხმას ბანს აძლევენ დემოკრატიის ალამდარები სხვადასხვა ქვეყნებიდან და კონტინენტებიდან.



სპეციფიკური შესაძლებლობების ქვეყანაა საქართველო — აქ შეიძლება „კანონიერი ქურდი“ იყო და უცებ ხელისუფლების სათავეში მოექცე, ათი-თხუმეტი კაცი გყავდეს გაგორებული და პოლიტპატიმრის სტატუსი მოირგო, წმინდა წყლის ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმი ჩამოაყალიბო და მაინც „დემოკრატიის შუქურა“ გერქვას, მილიარდები მოიპარო და მაინც რამდენიმე პიჯაკის შეძენისთვის გაგასამართლონ, იყო რომელიმე უცხო სახელმწიფოს აგენტი და პატრიოტი გერქვას, ყაჩაღობით, ძარცვა-გლეჯით მილიონები იშოვო, მერე ამ მილიონებით ტელევიზიები გახსნა და მაღალ მატერიებზე ისაუბრო.

აი, ამნაირ ქვეყანაში გახარიასნაირი ტიპის პოლიტიკოსებს ვინ გაახარებს?

გახარიამდე ერთი ნამდვილი პატრიოტი, ნამდვილი ქართველი კაცი გვყავდა პრემიერ-მინისტრად — ირაკლი ღარიბაშვილი და კინაღამ ცოცხლად შეჭამეს, ახლა გახარიას უპირებენ შეჭმას იგივე „კანიბალები“, და ჰარპიები, თუ გამოუვიდათ, თუ მოახერხეს...

ყოველ შემთხვევაში, ცდას არ დააკლებენ და ბოლომდე იბრძოლებენ, მიზანში ამოღებული მსხვერპლის გადასანსლავად.

ერთი მეგობარი კაცი მყავს, ბესო მიქავა.

არა მარტო წესიერი და პატიოსანი ადამიანია ბატონი ბესო, არამედ კარგად ინფორმირებული, ნაკითხი და ერუდირებული პიროვნებაა, რომელსაც ანალიტიკოსის და ექსპერტის შესაშური თვისებები აქვს.

აი, ამ კარგმა კაცმა, ბესო მიქავამ, „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებულ რამდენიმე ინტერვიუში ხაზგასმით თქვა, გიორგი გახარიას თბილისური მაფია ებრძვისო.

— არა მარტო გიორგი გახარიას, ბიძინა ივანიშვილსაც თბილისური მაფია უპირისპირდება, რომელმაც ვერა და ვერ მიიღო თავისიანად ივანიშვილი. ამიტომაც უხსენებს ხშირ-ხშირად ჭორვილას სახელს, თითქოს ჭორვილელობაში რაიმე საძრახისი და სათაკილო იყოს.

სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიას დამხობაშიც სწორედ თბილისურმა მაფიამ ითამაშა საბედისწერო როლი, — ამტკიცებს ბატონი ბესო.

ამ ინტერვიუების გამოქვეყნების შემდეგ აღშფოთებულნი მირეკავდნენ ვიღაც-ვიღაცები: რა თბილისური მაფია? რომელი თბილისური მაფია? სად დაინახა ამ მიქავამ თბილისური მაფიაო?

სად დაინახა მიქავამ თბილისური მაფია, ვერ გეტყვით, თუმცა მაფიის, როგორც რეალურად არსებული კონკრეტული დაჯგუფების დანახვა, სულაც არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ დაინახო ელიტარულობის პრეტენზიის მქონე ცალკეული თბილისური კლასტერები, რომლებიც არა მარტო თბილისში, საქართველოს რეგიონებშიც ცდილობენ ბიზნესინტერესების მართვას და გაკონტროლებას.

კვირიკაშვილის პრემიერობის დროს ერთ ბიზნესმენს წამოსცდა:

— „არასპრავედლივად“ ხდება, ძმაო, ფულის განაწილებაო, თითქოს ბიუჯეტი რაღაც ქურდული „ობშჩიაკი“ ყოფილიყოს, რომელიც კარგ ბიჭებზე უნდა გადანაწილდეს.

ცუდი წარსულიდან მოვდივართ ჩვენ, ცუდი წარსულიდან მოდის ქართული ბიზნესიც — 90-იანი წლების ქაოსიდან, როცა ყაჩაღობით და ძარცვა-გლეჯით ვიღაცვიღაცებმა მილიონები იშოვეს, შევარდნაძის დროინდელი „პრიხვატიზაციიდან“, როცა ხალხისა და ქვეყნის ქონება ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებზე გადაფორმდა, სააკაშვილის პერიოდის წმინდა წყლის კრიმინალური რეჟიმიდან, როცა ბიზნესების ახევა, ადამიანებისთვის ქონებების წართმევა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

აი, ასეთი სამარცხვინო და კრიმინალური წარსულიდან მოდის ქართული ბიზნესის დიდი ნაწილი და, ცხადია, ამ საყოველთაო და ტოტალური ბიზნეს-ყაჩაღობის ხანაში სხვებზე გაცილებით დიდი სარგებელი თბილისელმა აბრაგებმა ნახეს, რომლებსაც დღეს კეთილშობილური სახელი ბიზნესმენები ჰქვიათ.

როგორც ჩანს, სწორედ ამ კონტინგენტს ეძახის ბესო მიქავა თბილისურ მაფიას და, მე მგონი, არც ისე უსაფუძვლოდ.

„თბილისური მაფიისთვის“, ცხადია, გიორგი გახარია მიუღებელი, უცხო და ხელისშემშლელი ფიგურაა, ისე, როგორც უცხო და მიუღებელი ფიგურაა ბიძინა ივანიშვილი და საერთოდ, ყველა ის ადამიანი, რომელიც მათ მარაქაში და მათ „საძმოში“ არ იყო გარეული და ფული მათსავით ყაჩაღობით და ბანდიტობით არ უშოვია.

კიდევ ერთი „ნაკლი“ აქვს გიორგი გახარიას — გახარიაა!

გახარიაა, ანუ ნაღდი ქართველია და გვარსა და ჯილაგში უცხო სისხლი და გენი არ ურევია, რაც, მავანთათვის, დიდად სახარბიელო და მისასალმებელი რამ სულაც არ არის.

ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა და უნდა გიამბოთ.

ამ ათიოდე წლის წინათ ერთმა პოლიტიკოსმა, რომელიც მაშინ თავდადებულ პატრიოტად წარმოაჩენდა თავს, ასეთი რამ მომიყვა: ერთ-ერთი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს მაღალჩინოსანმა, რომელიც ჩემს მიმართ რატომღაც დიდი სიმპატიით იყო განწყობილი, მკითხა:

— თქვენ, მისტერ შ. სუფთა სისხლის ქართველი ხართ?

— კი-მეთქი, — ცოტათი დაბნეულმა და შეცბუნებულმა ვუპასუხე — ნამდვილად არ ველოდი ასეთ უცნაურ შეკითხვას და გამიკვირდა.

— მამა ქართველი გყავთ, მაგრამ დედაც ქართველია? სხვა ეროვნებისა არავინ არ გირევიათ გვარში?

— არა, ბატონო, დედაც ქართველია, მამაც ქართველია, ქართველები მყავდა ბებიებიც და ბაბუებიც, იმათი ბებიებიც და იმათი ბაბუებიც ქართველები იყვნენ-მეთქი, — ამაყად მივუგე.

— საწყენია, საწყენია... — სინანულით გადააქნია თავი მაღალჩინოსანმა, — გვინდოდა თქვენი პოლიტიკური კარიერისთვის ხელი წაგვეშველებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენი ანკეტური მონაცემები ჩვენს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.



— ეხ, იღბალი რომ არ გექნება კაცს — ვინმე რომ მყოლოდა გვარში ან ანტონიანი, ან მარტიროსიანი, ან თუნდაც ოსკანიანი, ახლა, ალბათ, პრეზიდენტი ვიქნებოდი.

პოლიტიკოსი, რომელმაც ეს ამბავი მიამბო, დღეს იმ ბანკში გადაბარგდა, რომლის წარმომადგენლებიც, თავის დროზე, ჭირის დღესავით ეზარებოდა, უფრო ზუსტად, სძულდა, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა და საქართველოს დაუძინებელ მტრებს ეძახდა.

დღეს თავისი ოფისის კარები გაუღო გუშინდელ მტრებს ამ კაცმა, შუაში ჩაჯდა და ისეთი გახარებული და ბედნიერი ჭყლოპინებს, გაოცდები.

ბატონი გუბაზიც იქვეა, დიმიტრი თავდადებულს რომ თამაშობდა ცოტა ხნის წინათ და ქალბატონი ნინოც, ქეთევან წამებულის ეკლის გვირგვინს რომ იზომებდა ხშირ-ხშირად.

აი, ასეთებს და ამნაირებს, შუბლისძარღვგაწყვეტილებს, რომლებმაც ნებაყოფლობით თქვეს უარი ღირსებაზე, ცხადია, თავიანთი თავის გარდა, არავინ არ უყვართ და, პირველ ყოვლისა, არ უყვართ საქართველო.

მათ უკვე ღიად განაცხადეს, რომ ყველაფერზე წავლენ, ყველაფერს იკადრებენ, ყველა უბედურებაზე ხელს მოაწერენ, ოღონდ ძალაუფლებისკენ ლტოლვის მანიაკალური ინსტინქტები დაიკმაყოფილონ.

აი, ასეთი ძალა უპირისპირდება ბიძინა ივანიშვილს, „ქართულ ოცნებას“, მთელ საქართველოს, მის ამჟამინდელ ხელისუფლებას და რა თქმა უნდა, გიორგი გახარიასაც.

საქართველო დღეს ქვეტექსტების, ნახევარტონების, მინიშნებების რეჟიმში ცხოვრობს, სადაც პროფესიონალი სტუკაჩების და ჯაშუშების ათასი თვალი გიყურებს და ათასი ყური გისმენს, რომ ერთი უხერხული და მოუზომავი ფრაზა გადაგიკეთონ, გადაგისხვაფერონ და სადაც ჯერ არს, იქ დაგასმინონ.

ამ სიტუაციაში გიორგი გახარია მაინც ახერხებს ისეთი რაღაცები „ჩაგვინამიოკოს“, რაც ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს ესადაგება.



ასე, მაგალითად, ანტიკრიზისულ პროექტზე საუბრისას, უცებ, თითქოსდა სასხვათაშორისოდ, ასეთი ფრაზა თქვა: შეიძინეთ ქართული პროდუქციაო.

ეს ერთი შეხედვით უწყინარი ფრაზა, იცით, როგორ შეიძლება გადათარგმნოს, ყოველ სიტყვასა და გამოთქმაზე ჩასაფრებულმა „სტუკაჩმა?“ — ქართული პროდუქცია რომ შეიძინო, ის უნდა არსებობდეს, ის რომ არსებობდეს, უნდა აწარმოო. რომ აწარმოო, სოფელი უნდა ააღორძინო, ადგილობრივი წარმოება უნდა აამუშავო, ინფრასტრუქტურა უნდა გამართო, მოკლედ რომ ვთქვათ, შენი თავი შენ უნდა გეყუდვნოდეს, ეს კი რამდენად ჯდება გლობალისტური ეპოქის სტანდარტებსა და ნორმებში?

გახარიას ამ ფრაზამ — ინდოელთა ილია ჭავჭავაძე — მოჰანდას კარამჩანდ პორბანდარი, — იგივე მაჰათმა განდი და მისი სატიაგრაჰა გამახსენა.

გიორგი გახარია, ცხადია, არც ილია ჭავჭავაძეა და არც მაჰათმა განდი, რომ ქართული სატიაგრაჰა შექმნას, მაგრამ უდავოა, რომ ის უაღრესად საინტერესო, ჭკვიანი და გონიერი ადამიანია, რომელიც სწორად ხედავს ქართული სახელმწიფოს წინსვლისა და განვითარების გზებს, რაც, როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცებისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

ბიძინა ივანიშვილი ლამის ჯვარს აცვან — როგორ გაბედე და ამდენი სიკეთე როგორ გაუკეთე ამ ქვეყანასო?

გიორგი გახარიაა და ყოველ კვირას „დაკითხვაზე“ იბარებენ პარლამენტში — რას ჰქვია ამდენი განსაცდელი რომ აარიდე ამ ქვეყანას — დასასჯელი ხარ — უნდა მოგხსნათ, უნდა გადაგაყენოთო.

როდის უნდა დამთავრდეს ეს მარაზმი და როდის უნდა გადაეჩვიოს საქართველო კარგი საქმეების გამკეთებელი ადამიანებისთვის „მკლავის მოჭრას?“











# რისი თქმა უნდათ ნაცებს – მილიონზე მეტი ამომრჩევლისთვის 5 კგ. კარტოფილი უფრო ძვირფასია, ვიდრე მთელი ოპოზიცია?

*გვესაუბრება „სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელი, ანალიტიკოსი ლადო ბოჟაძე:*

**— ბატონო ლადო, როგორ ფიქრობთ, რა სისტემით ჩატარდება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები. ირაკლი კობახიძემ განაცხადა: თუ ცვლილებები ვერ განხორციელდა, არჩევნები „ნაცების“ დანატოვარი სისტემით ჩატარდებაო.**

— პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ბოლო წლების მანძილზე საარჩევნო სისტემა ქართული პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. ფაქტობრივად, დამოუკიდებლობის გამოცხადების მერე



საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს სულ შერეული სისტემით ვატარებთ. თავად არსებული საარჩევნო სისტემიდან გამომდინარე არჩევნების უსამართლობისა თუ არალეგიტიმურობის საკითხი არასდროს დამდგარა და ვერც დადგება იმიტომ, რომ მსოფლიოში ნებისმიერი საარჩევნო სისტემა არის სამართლიანიც და ლეგიტიმურიც. ოპოზიციამ ეუთოში სახალხო დამცველის რესურსის გამოყენებით შეკითხვა დასვა, რაზეც შემდეგი პასუხი მიიღო: არსებული საარჩევნო სისტემაც არის სამართლიანი და ლეგიტიმური. ამიტომ, ოპოზიციამ სხვა ხერხს მიმართა: იგი, 8 მარტის მოლაპარაკებამდე ყველაფერს აკეთებდა, რათა როგორმე შეთანხმება არ შემდგარიყო, ამჟამად არსებული საარჩევნო სისტემა დარჩენილიყო და „ქართულ ოცნებას“ კიდევ ერთხელ შეჰქმნოდა პრობლემა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. რა თქმა უნდა, ოპოზიცია, დღესაც, აქტიურად ემზადება არა 31 ოქტომბრისთვის, არამედ 1 ნოემბრისთვის, რათა მიღებული შედეგი საარჩევნო სისტემის დამსახურებად გამოაცხადონ და არა ქართველი ხალხის გადაწყვეტილებად. ცალსახად ჩანს, რომ არჩევნები „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დასრულდება. აქედან გამომდინარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია 8 მარტის შეთანხმება შედგეს და ოპოზიციასთან, დასავლელ პარტნიორებთან შეთანხმებული სარჩევნო სისტემა მივიღოთ. დარწმუნებული ვარ, „ნაცებისა“ და „ევროპული საქართველოს“ სრულიად დესტრუქციული პოზიციის მიუხედავად, საარჩევნო სისტემას შევცვლით. პარლამენტში 149 წევრია, „ქართულ ოცნებას“ 93 მანდატი აქვს, 29 პირი დეკლარირებულად არ აძლევენ ხმას საარჩევნო სისტემას. მიუხედავად ამისა, არსებობს რესურსი 100-ზე მეტი ხმა შეგროვდეს. დამოუკიდებელი დეპუტატების იმ ჯგუფის მიერ რომელთაც სწორედ იმიტომ დატოვეს „ქართული ოცნების“ რიგები რომ ნოემბერში პროპორციულ სისტემაზე გადასვლა ვერ მოხერხდა, ახლა, თუ პროპორციულ სისტემას მხარს არ დაუჭერენ ეს ამომრჩევლისთვის გაუგებარი იქნება. ამიტომ, დიდი შანსია საარჩევნო სისტემა შევცვალოთ და არჩევნები ახალი მოდელით 120/30-ზე ჩავატაროთ. თუ ამ პროცესში „ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ მონაწილეობას არ მიიღებს, მათთვის საზიანო იქნება, რადგან დასავლელი პარტნიორები ორივე მხარეს პირობის შესრულებისკენ მოუწოდებენ.

**— მოდელი 120/30-ზე სრულიად ახალ რეალობას ქმნის. ასე უცებ ახალი საარჩევნო ოლქების შეკოწიწება რამდენად მისაღები იქნება მოსახლეობისთვის და ეს რა საფრთხეების შემცველია?**

— 2017 წელს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ჩაიწერა, რომ შემდგომი არჩევნები სრულიად პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა, თუმცა უბლოკოდ და საარჩევნო ბარიერი 5% უნდა ყოფილიყო. ეს მოსახლეობამაც იცოდა. ერთჯერად ჩანაწერში რომელიც უშუალოდ 2020 წლის არჩევნებს ეხებოდა პროპორცია 77/73-ზე იყო, რაც ამომრჩევლების და შემდგომ პოლიტიკური კლასის ინტერესებს ემსახურებოდა, რათა ორივე მათგანი იმ ახალი რეალობისთვის მომზადებულიყო, რასაც სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ჰქვია. ჩვენ, ფაქტობრივად, უკვე, სრულად გადავედით საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე. რა თქმა უნდა, როცა ევროპულ მოდელზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ პროპორციული საარჩევნო სისტემა არის დამახასიათებელი საპარლამენტო მოდელებისთვის და სწორედ მრავალპარტიული პარლამენტები ქმნიან მერე კოალიციურ მთავრობებს.

ყველაზე სამწუხარო იცით რა არის: ოპოზიცია უკვე მერამდენე არჩევნებია ამომრჩეველზე გაბრაზებულია და საკუთარ დამარცხებას და „ქართული ოცნების“ გამარჯვებას აბრალებს ყველას საკუთარი თავის გარდა. რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს არ სჭირდება არც დაშინება და არც მოსყიდვა. ოპოზიცია კი მაინც აგრძელებს საუბარს იმაზე, თითქოს, ამომრჩეველი დაშინებული, მოსყიდულია, ზოგი 5 კილოგრამ ხახვზე გაიყიდა, ზოგიც კარტოფილზეო. ოპოზიცია არ ფიქრობს, რომ ამით შეურაცხყოფას აყენებს საკუთარ მოსახლეობას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მილიონზე მეტი ამომრჩევლისთვის 5 კილოგრამი კარტოფილი უფრო ძვირფასია, ვიდრე, თუნდაც, მთელი ოპოზიცია.

**— კობახიძემ განაცხადა არჩევნებში „ქართული ოცნება“ კვლევების თანახმად 60%მიიღებსო. თქვენი აზრით, გამარჯვების ვის, რა შანსები აქვს?**

— გველოდება ძალიან მძიმე სარჩევნო კამპანია, პოლარიზებული საარჩევნო გარემო, ერთმანეთთან დაპირისპირებული პოლიტიკური პარტიები, შესაბამისად, დაპირისპირებული მედია, სამოქალაქო სექტორი და მოსახლეობა. რა თქმა უნდა, კორონა ვირუსის დროს ხალხი ხედავდა ექიმების, პოლიციის, ჯარისკაცების გმირობას და ხელისუფლების ძალიან წარმატებულ საქმიანობას. ამის პარალელურად ოპოზიციის შეურაცხყოფას ქართველი ექიმების მიმართ, ხელისუფლების, ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას, პანიკის, შიშის დათესვას. ასე თუ გაგრძელდა, რა თქმა უნდა, ამომრჩეველს 31 ოქტომბერს გადაწყვეტილების მიღება აღარ გაუჭირდება. ვფიქრობ, ძალიან დიდი დრო უნდა გავიდეს საიმისოდ, რომ ამომრჩევლმა „ნაციონალებს“ ხელისუფლება კიდევ ერთხელ ანდოს.

**— რა ფორმით შეიძლება მიიღოს „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ არჩევნებში მონაწილეობა. როგორი იქნება მათი საპარლამენტო სია?**



— აქ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ რას ვგულისხმობთ ამ ტერმინში — ეს გახლავთ არა „გაერთიანებული ოპოზიცია“, არამედ გაშლილი და დაშლილი „ნაცმოძრაობა“, რომელმაც ეს სახელი დაირქვა. ჩვენ, ვნახეთ ამ „გაერთიანებული ოპოზიციის“ წარმატებული შედეგი საპრეზიდენტო არჩევნებში, როცა მისმა კანდიდატმა შეძლო პროცესი მეორე ტურამდე მიეყვანა, მაგრამ გამარჯვება წილად ხვდა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილ კანდიდატს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად რეიტინგებისა, „ლეიბორისტების“ ეზოში, უკვე, თანამდებობების გადანაწილება დაიწყეს — ხან ვაშაძე დაასახელეს, ხან სანდრა რულოვსი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სახეზე გვაქვს გაშლილი და დაშლილი „ნაცმოძრაობა“. ბუნებრივია, სიას სააკაშვილი შეადგენს. იგი გადაწყვეტს: სიაში ვინ, რა ნომერი უნდა იყოს. თუ ვინმეს ამ კონფიგურაციაში საკუთარი ადგილი არ მოეწონება, მას შეუძლია „გაერთიანებული ოპოზიცია“ დატოვოს და სააკაშვილი მას მაშინვე მოღალატედ და ივანიშვილზე მიყიდულად გამოაცხადებს. არჩევნებამდე ბევრი რამ შეიცვლება. თავად „ნაცმოძრაობისთვის“ იქნება რთული ისეთი ფორმირება, სადაც ყველას ინტერესი გათვალისწინებული უნდა იყოს. იცით, რომ „ნაცმოძრაობასთან“ ერთად ბლოკში არ იქნება „ევროპული საქართველო“. რა თქმა უნდა, არჩევნებში წარმატებას მიაღწევს „პატრიოტთა ალიანსი“. მას ექნება გაცილებით მეტი მანდატი. ცხადია, განახლებაზე ფიქრობს „ქართული ოცნებაც“. გასარკვევია, ვინ განაწილდება მაჟორიტარების ფრონტზე; ვინ იქნება ის 30 რჩეული ვინც „ქართული ოცნება“ უნდა წარმოადგინოს; მოქმედი დეპუტაციიდან, საერთოდ, ვინ დარჩება პარლამენტში; ვინ მოძებნის სხვა გზას და რა თქმა უნდა, სად იქნება ახალი სახეების როლი და კონფიგურაცია.

რა თქმა უნდა, უხილავი თვალითაც ჩანს ის, რომ „ნაცმოძრაობა“ როგორც საუბრის დასაწყისში აღვნიშნე, ემზადება არა 31 ოქტომბრისთვის, არამედ 1 ნოემბრისთვის. იგი ეცდება ნებისმიერი მიზეზით, უშუალოდ, კენჭისყრის დღეს პრობლემურად წარმოაჩინოს, თითქოს, ხარვეზები, გაყალბებებია, პროცესი ზეწოლით მიმდინარეობს და ა.შ. თქვენ, გახსოვთ, რომ იგივე, 2019 წელს როცა „ნაცმოძრაობა“ მერის არჩევნებში დამარცხდა, იქაც, იყო მცდელობა ზუგდიდში აქციების, მიტინგების მოწყობის, სანდრა რულოვსი იარაღის ხელში აღებითაც კი აპირებდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების შეცვლას, მაგრამ გახსოვთ, რომ 100 კაციც კი ვერ შეაგროვა ე.წ. რევოლუციური სცენარისთვის. თუმცა, 20 ივნისს განვითარებული მოვლენები მათ იმის საფუძველს აძლევს, რომ კიდევ ექნებათ შანსი რაღაც მიზეზით საზოგადოება გარეთ გამოიყვანონ და ისეთივე ტიპის პროვოკაციაზე წავიდნენ, რაც 20 ივნისს განახორციელეს და ხელისუფლება აიძულონ, ამ მიმართულებით, გარკვეული შეცდომები დაუშვას. ასე, რომ ძალიან სერიოზული, პოლარიზებული, დაპირისპირებული საარჩევნო კამპანია და გარემო გველოდება. თუმცა, დაგვესწრებიან საერთაშორისო დამკვირვებლები და მაღალი დონის სამართლიან არჩევნებს ჩავატარებთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# 26 მაისი, ანუ ჰელმუტიდან მაქარაშვილამდე

## თუ ყარყარაშვილი ეროვნული გმირია, მაშინ კიტოვანის და იოსელიანის ეროვნული გმირები ყოფილან



მე იქ ვიყავი, ყველაფერს ვხედავდი, ყველაფერი მესმოდა, ყველაფერს ვამჩნევდი.

ვხედავდი, როგორ იკვეთებოდა ზვიად გამსახურდიას დამხობის კონტურები.

მესმოდა, როგორ ჩურჩულებდნენ ტელე-რადიო კომიტეტის ჩაბნელებულ დერეფნებში გამყიდველები. არ ვიტყვი, სამშობლოს გამყიდველები-მეთქი, მათ სამშობლო არ გააჩნიათ.

ვამჩნევდი, საიდან უბერავდა სიო, რომელიც უცებ გადაიზარდა გრიგალში და დაღუპა საქართველო. დიახ, დაღუპა, რადგან ჯერაც ვერ მოგვიშუშებია მაშინდელი ჭრილობები.

დღეს ისევ ისინი ლაპარაკობენ ეროვნულობაზე, ზვიად გამსახურდიას დამსახურებაზე, ახსენებენ მერაბ კოსტავასაც. ისინი ადიან მთაწმინდაზე და ამბობენ სადღეგრძელოების მსგავს იდიოტობებს. გამოდიან ტელევიზიებით და გვიკითხავენ ლექციებს საქართველოს დამოუკიდებლობაზე.

ჰმ... წარმოგიდგენიათ? ახლა სარგებლობენ იმით, რომ ახალგაზრდებმა ბევრი არაფერი იციან 1991–1992 წლების მოვლენებზე.

26 მაისს მცირე (გიორგი) ვაშაძე, რომელიც ნიკოლოზ რურუას გათავისუფლებას ითხოვს, მართლა პატრიოტივით ავარდა მთაწმინდაზე და ზვიად გამსახურდიას საფლავთან მოუნდა ქედის მოხრა. შეეშალა, ის დიდუბის პანთეონში უნდა შეთრეულიყო და ნელი სვლით ჯაბა იოსელიანის საფლავისთვის შემოევლო. ალბათ სანთელიც უნდა დაენთო.

შეგახსენებთ: ძმები რურუები იმ პერიოდში იყვნენ „მხედრიონის“ წევრები, ჯაბა იოსელიანის „პადელნიკები“ და დიდი წვლილი მიუძღვით ეროვნული ხელისუფლების დამხობაში. აღარაფერს ვამბობ უამრავ დანაშაულზე, რაც მათ ჩაიდინეს. ამჟამად ერთი (ნიკოლოზ) რურუა დაპატიმრებულია იარაღის უკანონო ტარებისთვის. აი, ამ ადამიანის გათავისუფლებას ითხოვს ე.წ. ოპოზიცია და მათ შორის მცირე ვაშაძეც.

მთაწმინდაზე ასულ ვაშაძეს მანანა არჩვაძე-გამსახურდია დახვდა თავის მომხრეებთან ერთად. შენ აქ რა გინდა, ბიჭოო? ამას ხმა არ ამოუღია, რაღაც ჩაიიმასქნა თავისთვის და დაეშვა მთაწმინდიდან „ჩერეზ“ სოლოლაკი.

მომეწონა მანანა არჩვაძე-გამსახურდიას საქციელი, მშვენივრად „დააპამოლა“ ორტრაკა ჯუნიორი, თან რომ რურუებს „ეპადხალიმება“ და თან ქულების ჩაწერა უნდა ზვიადის საფლავთან მისვლით.

●

იცით, რა კარგად მახსოვს პირველი მცირე ე.წ. საინფორმაციო მიტინგი ტელევიზიის შიდა ეზოში? ერთი დღეც არი, გამსახურდია ჯერ კიდევ პრეზიდენტია, თენგიზ სიგუა — პრემიერ-მინისტრი, ტელევიზიის თანამშრომლებს გვეძახიან, ქვემოთ პატარა სტადიონი როა, იქ ჩამოდითო. ჩავედით, ასიოდენი ვიქნებოდით. ვიღაც-ვიღაცებმა დაიწყეს მიეთმოეთი, ეს კაცი გვღუპავსო, პროვინციელი ფაშისტიაო... ხედავთ, ტელევიზიის თავმჯდომარედ ვინ გამოაგზავნაო? აზრზე არ არიო, ამან რა უნდა გვასწავლოს და რანაირად უნდა გვიხელმძღვანელოსო? მოკლედ, შევარდნაძე უნდა ჩამოვიყვანოთ, ბუშსაც იცნობს და ჰელმუტ კოლსაც, თუ გვიშველის, ეგ გვიშველის, ფული წამოვა წვიმასავითო. რაღა დაგიმალოთ და... იმ პერიოდში რაღაც საზოგადოებრივი ორგანიზაციაც კი შეიქმნა, რომლის წევრებიც ამტკიცებდნენ, ჩვენ ჰელმუტელები გახლავართო. ჰოდა, ისეთები თქვეს, გულში მეცინებოდა, ამათ რას უნდა მიაღწიონ, რა უნდა გამოუვიდეთ-მეთქი? ეეეჰ, თურმე სადა ბანაობ, ზედელაშვილო? ყველაფერი ისე ჰქონიათ დალაგებული, როგორც დაგიბარებია. ამის შემდეგ გავიდნენ ტელევიზიის თანამშრომლები და ჩამოსხდნენ კიბეებზე, მაგათ შეუერთდნენ ე.წ. ინტელიგენციის წარმომადგენლები და მოხდა ის, რაც მოხდა.

იცით, პირველად როდის დავიბენი და როდის ვნახე საკუთარი თვალით ფასეულობათა აღრევა? მაშინ, როცა ედუარდ შევარდნაძის მომხრეებს შეუერთდა მერაბ კოსტავას მეუღლე რუსუდან ბერიძე. გამიკვირდა, კაცო, კინაღამ გადავედი ჭკუიდან, ამისი ქმარი იმას ებრძოდა და ახლა ამას იმასთან რა უნდა-მეთქი? სხვათა შორის, წლების შემდეგ ქალბატონ რუსუდანს ვკითხე (ლუიზა შაკიაშვილმა მიმიყვანა მასთან სახლში), რატომ მოიქეცით ასე გაუგებრად-მეთქი? ამ თემაზე საუბარი არ მსურსო, მაშინ ეგრე იყო საჭიროო.

●

სამწუხაროდ, ფასეულობათა აღრევა დღემდე მიმდინარეობს. მეტიც, ვისი ვიოლინო ვის როიალშია, ვეღარ გაიგებთ. 26 მაისს ტელევიზიებმა გადამრიეს, ძაან აურ-დაურიეს, ძაან მიედვნენ და მოედვნენ. „იმედმა“, ვითომ ნორმალურმა ტელევიზიამ ისე გარეკა, აქეთ შემრცხვა. სტუდიაში გია ყარყარაშვილი მიიწვიეს და წარმოგვიდგინეს როგორც ეროვნული გმირი. ჰო, თქვენს წინაშეა საქართველოს ეროვნული გმირიო. ყარყარაშვილმა მხრები აიჩეჩა, არ ვაროო. წამყვანმა უთხრა, ხარ და მე რა ვქნა, მაგ წოდებას ხომ არ ჩამოგართმევო?

ნუ, ეხლა გასაგებია, რომ კაცმა აფხაზეთში იბრძოლა, მაგრამ საკუთარ პრეზიდენტს რომ ჯერ ფიცი დაუდო და შემდეგ უღალატა, ანუ წინ აღუდგა, ეგ როგორღაა?



უკაცრავად, ბატონებო და ქალბატონებო, ადამიანი, რომელმაც იარაღით დაამხო ეროვნული ხელისუფლება და გააძევა პრეზიდენტი, ვერასოდეს გახდება ეროვნული გმირი. წერტილი!

აი, „ტვ პირველმა“ რომ აღნიშნა 26 მაისი, აღნიშვნაც ეგეთი უნდა — გიგა მაქარაშვილი წამომისვეს სტუდიაში და ჭკუა მოჰკითხეს. იმას კიდე ჭკუა საერთოდ არ აქვს და ამიტომაც შეიფერა, გაუტია და გაუტია, შეაფასა და შეაფასა მოვლენები. კიდევ კარგი, ედიშერ გვენეტაძე იჯდა შორიახლოს და იმან მიანიშნა, წადი, შვილო, ფისი ქენი, დაიძინეო.

მაქარაშვილზე არ უთქვამთ, ეროვნული გმირიაო. არადა, უნდა ეთქვათ, განა ეგ არ იყო, გორის გამგეობასთან თუ მერიასთან ნეხვით სავსე ვედრო რომ მიიტანა და დადგა? განა მაგას არ ჩამოაცვა თავზე გამგეობისა თუ მერიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ის ვედრო თავზე რომ ჩამოაცვა? მე პირადად მაქარაშვილის არსებობის შესახებ მაშინ გავიგე. ჩაიდინა კაცმა ეროვნული გმირობა, გახდა ცნობილი და მიიწვიეს კიდევაც ტელესტუდიაში მრავალჯერ.

ხუმრობა იქით იყოს... გადაცემის წამყვანი რომ ხარ, 26 მაისი როა, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, რატომ უნდა დაგებადოს თავში აზრი, რომ სტუდიაში მოვლენების შემფასებლად მაქარაშვილი მიიყვანო? აი, ვერ გავიგე, მაგას შოთა დიღმელაშვილის მიწვევა არ სჯობდა? ამ ადამიანის ნამდვილი გვარი გაგარინია, მაგისი მოგვარე კოსმოსში მაინც გაფრინდა. მართალია, იმ გაფრენას საქართველოს დამოუკიდებლობასთან არაფერი აკავშირებს, მაგრამ გმირობასთან მაინც ხომ არის ცოტაოდენ მიახლოვებული?

აი, ისევ გამქცა კლავიატურა, ისევ მოვედი ხუმრობის ხასიათზე... ნუ, რა ვიცი, ამათ საქციელზე სერიოზულად როგორ უნდა იმსჯელო?

26 მაისი იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ამათ კიდე 2011 წლის 26 მაისი განიხილეს, მიშა სააკაშვილმა და მისმა ხროვამ რომ ჩახოცეს პატიოსანი ადამიანები რუსთაველზე, ზოგიც მაღაზიის ჭერზე რომ შემოდეს და მეორე დღეს დასკვნა დაწერეს, მაგათ დენმა დაარტყა, წვიმდა, გაუფრთხილებლობით მოუვიდათო. ტელევიზორში ის აღარ უთქვამთ, ნინო ბურჯანაძე რომ შეხტა შავ ჯიპში და გაქუსლა. აგერ, გავიდა წლები, იგივე ბურჯანაძე იმ ღამის შემოქმედებთან ჩამოჯდა, ოპოზიცია გავერთიანდით, ეს ხელისუფლება უნდა გადავაყენოთო. თან აქეთ კაპასობს, თქვენაო, ვიღაც-ვიღაცებმა ენები დაიმოკლეთ, ძალიან კარგადაც იცით, ბოკერისთან, ვაშაძესთან და სააკაშვილის ხელის ბიჭებთან რატომაც ვზივარო!

ჰა, ჰა, ჰა... ენები დაიმოკლეთო!

რო არ დავიმოკლოთ, რას იზამ, ნინო ძალო?!

შენს კაბინეტში კიკინები რო გაიშალე, ეხლავე ჩამოკაკლე, ბიძინამ ჩემზე რა გითხრაო, გახსოვს?

არაფერი უთქვამს-მეთქი!

არაო, გამოხედვაზე გეტყობა, ძალიან ბევრი რამე გითხრა და მალავო!

ჰო, ბევრი რამე დავმალე, რადგან პირობა მქონდა მიცემული, არ ვიტყვი-მეთქი.

არადა, ჯერ კიდევ 2012 წელს მითხრა, ეგ ქალი ბოლოს მაინც სააკაშვილთან მივა, მის „პადელნიკებთან“ ჩამოჯდება და კისკისით აიკლებს იქაურობასო.

უი, უი, უი... რას ამბობთ, არ არსებობს, 26 მაისს რა დღეში ჩააგდეს, ვერ ნახეთ-მეთქი?

ეეეჰ, ბლეფი იყოო.

არა-მეთქი!

აჰა, ეგე თუ არა, ეგე თუ არ ჩამოჯდა ბოკერიასთან და არ გადაიკისკისა იქედნურად!

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ბიძინა ივანიშვილს სიზმარიც კი დაეჯერება.

ისე, მეც კაი ოხერი ვარ, რავა ყველაფერი მახსოვს გუშინდელ დღესავით?!









გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# დარწმუნებული არ ვარ, რომ ოპოზიციას არჩევნების ჩატარება უნდა



*გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:*

**— ბატონო მამუკა, როგორ შეიძლება წარიმართოს საარჩევნო პროცესი? „ქართულ ოცნებას“ 93 მანდატი აქვს, თუმცა, თუ „მეამბოხე“ დეპუტატები ცვლილებებს მხარს არ დაუჭერენ, ხელთ ამჟამინდელი საარჩევნო სისტემა შეგვრჩება. ამ შემთხვევაში რამდენად შესაძლებელია არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხი დადგეს?**

— ის რაც დღეს საზოგადოების თვალწინ ხდება, სრულ სურათს არ ასახავს. ობიექტურად უნდა ითქვას: ხმები იმის თაობაზე, რომ ორივე მხარის დეპუტაცია უკმაყოფილოა, რეალობას მოკლებული არ არის. ერთი მხრივ, ხელისუფლებაში არიან დეპუტატები რომლებიც პროპორციული არჩევნების შემთხვევაში, სიაში მოხვედრის გარანტიებს ითხოვენ, ვგულისხმობ, მაჟორიტარ დეპუტატებს. რაც შეეხება ოპოზიციას, აქაც არიან ადამიანები, რომლებიც გარანტიებს საკუთარი თავის გამსვლელ სიაში ხილვის შემთხვევაში იძლევიან. აქ, იგულისხმება, პატარ-პატარა პარტიების ხელმძღვანელები, რომლებიც კოალიციაში „ნაცმოძრაობის“ გარშემო არიან გაერთიანებულნი. სწორედ ამიტომ გამორიცხული არ არის ძალიან ბევრ მათგანს ახალი საარჩევნო სისტემის და საერთოდ, არჩევნების ჩაშლა სურდეს. საბოლოო ჯამში, ძალიან მძიმე მდგომარეობაა და მინდა საქართველომ ამ სიტუაციას თავი დააღწიოს. ჩვენ, რთული ეკონომიკური ვითარების ფონზე პოლიტიკური დაძაბულობა და ცხელი შემოდგომა არ გვჭირდება. რასაკვირველია, არჩევნები, თავისთავად, ცხელ შემოდგომას გვპირდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამას კიდევ დაემატოს გართულება.

**— 120/30-ზე რა რეალობის წინაშე დააყენებს მოსახლეობას?**

— ჩვენი მოსახლეობის გადამწყვეტ უმრავლესობას საერთოდ არ აღელვებს რა პრინციპით ჩატარდება არჩევნები. მოსახლეობას ყურადღება სოციალურ საკითხებზე აქვს გამახვილებული. დღეის მდგომარეობით, კვლევების თანახმად, მოსახლეობის 60% ამბობს, რომ არჩევნებზე არ წავა. უამრავ არჩევნებში მაქვს მონაწილეობა მიღებული და ვიცი, რომ არჩევნების წინა დღეებში სიტუაცია იცვლება. მერე, უკვე, საქმეში ერთვება გარკვეული რეგულაციები და 60%-დან დარჩება 15%, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ.

**— ზოგადად, ვის რა შანსები აქვს, რა გადანაწილებებს უნდა ველოდოთ საარჩევნო საჭადრაკო დაფაზე?**

— დღევანდელი გადასახედიდან, სანამ განსაკუთრებული ეკონომიკური გაჭირვება არ დამდგარა, რაც სავარაუდოა შემოდგომისკენ, ჯერჯერობით, „ქართული ოცნება“ უპირობო ლიდერია. ეს მეტწილად განაპირობა კორონა ვირუსთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების უნარმა. ხელისუფლებას, ზოგადად, დიდი უპირატესობა აქვს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ეს შენარჩუნდება. ამისთვის ხელისუფლებამ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგას, რასაც აკეთებს კიდეც, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ნაბიჯების ეფექტი მყისიერი ვერ იქნება მიუხედავად იმისა, რომ მავანს თანხებს ურიცხავენ. საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან საუბარი მომიწია და ცხადი გახდა, რომ არც იგი არის ადეკვატური. მაგალითად, მოსახლეობა გაღიზიანებულია კარანტინის გამო. არადა, იგივე და ბევრად რთული ვითარებაა მსოფლიოშიც, მაგრამ ეს არ აინტერესებთ, მთავარია, მათ ოჯახში რა ხდება. ამიტომ, რთულად იღებენ იმ რეგულაციებს, რაც მთავრობამ დააწესა. თუმცა, საბოლოო ჯამში საერთო განწყობა ასეთია: მთავრობის გადადგმულმა ნაბიჯებმა ბევრი ძალიან დადებითი შედეგი განაპირობა. სხვათა შორის, აქ, კიდევ ერთი ნიუანსია: მთავრობამ პრობლემის დასწყისში სხვაგვარი სტრატეგია აჩვენა, ანუ, მან მე ვარ და ჩემი ნაბადის ძახილს ამჯობინა მაშინვე პროფესიონალებს დაყრდნობოდა, რაც საქართველოს მთავრობების ისტორიის მანძილზე უნიკალური შემთხვევაა. პირველ პლანზე გამოვიდნენ ექიმები, სპეციალისტები და არა მთავრობის წარმომადგენლები. ეს ნაბიჯი მთავრობამ შეგნებულად გადადგა და სწორიც იყო. მეორეც, ზოგიერთმა პიროვნულად აჩვენა მენეჯერული თვისებები, ვგულისხმობ, როგორც პრემიერს, ისე ქალაქის მერს. გარდა ამისა, მთავრობამ აჩვენა, რომ სიტუაციის მართვა შეუძლია. კი ბატონო, შეცდომები, გადაცდომებიც იყო, მაგრამ კორონა ვირუსით გამოწვეული ვითარება სიახლე იყო და შედეგები არაპროგნოზირებადი. ამის დანახვა ადამიანებს არ უნდათ. მათ აინტერესებთ მყისიერი შედეგი. ერთიც უნდა ითქვას: მართალია ადამიანები მყისიერ შედეგზე არიან ორიენტირებულნი, მაგრამ ქვეცნობიერის დონეზე პროცესების მიმართ მაინც დადებითი განწყობა უფროა, ვიდრე უარყოფითი.

**— რა შედეგს დადებს არჩევნებზე „გაერთიანებული ოპოზიცია“. სიის ბოლო ნომრად ყოფნას, ალბათ, არცერთი პარტიის ლიდერი არ დათანხმდება?**

— დიახ, სიაში ვინ უნდა იყოს პირველ, ვინ — მეორე ხუთეულში, ამ საკითხზე უსასტიკესი ბრძოლა იქნება. საქმე ბოიკოტებამდე და ერთმანეთთან გაუცხოებამდეც მივა, ისე როგორც ხდება-ხოლმე ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. ასე, რომ თქვენს კითხვაზე: რა ფორმით იქნება წარმოდგენილი „გაერთიანებული ოპოზიცია“, ვერაფერს გიპასუხებთ. რაც შეეხება მაჟორიტარებს, ეს პრობლემა არ არის, 30 კაცს როგორმე შეარჩევენ, მაგრამ სიები იქნება მთავარი დაპირისპირების საგანი. ამ გაერთიანებაში უამრავი უსახური ადამიანია, რომელსაც არანაირი პერსპექტივა არ აქვს, განსაკუთრებით, პატარ-პატარა პარტიების ხელმძღვანელებს, თან, ისინი ხომ ამინდს ქმნიან. დიახ, ისინი ქმნიან ამ კოალიციას, თორემ ისე „ნაცმოძრაობა“ მარტო დარჩებოდა. ეს ხალხი ამბობს: ჩვენ, ვქმნით კოალიციას, აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი დააფასეთო — ეუბნებიან „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელობას. „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ არის ხალხი, რომელთა პოლიტიკური ცხოვრება კარგა ხანია დასრულდა, მაგრამ მაინც საჭირონი გახდნენ.

**— „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაზე რას გვეტყვით — დაკომპლექტდება ახალი სახეებით თუ მარადმწვანე მაჟორიტარებით?**

— მთავარი პრობლემა ის არის რომ სია წინა საპარლამენტო არჩევნების დროს შედგენილი იყო პრინციპით — ერთგული ხალხი. ამ ერთგული ხალხიდან ძალიან ცოტამ მოახერხა საზოგადოებისთვის თავის ან დამახსოვრება ან სიმპატიის მოპოვება. ასე, რომ პრაქტიკულად ეს ხალხი მომავალ არჩევნებში არ გამოადგებათ, რაც „ქართულ ოცნებაში“ კარგად იციან. ამიტომ, სიის გადახარისხებაზე ზრუნავენ, მაგრამ რა შედეგები იქნება, არ ვიცი. მე არ ვიცი ვის გულისხმობენ, ვინ მოიაზრება ამ სიაში, მგონი, წესიერად თვითონაც არ იციან. რაც შეეხება ხელმძღვანელობას, რამდენიმე ადამიანმა თავი ისე გამოიჩინა, რომ შესაძლოა არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში ძალიან სერიოზული დივიდენდები მოიპოვონ.

**— ოპოზიცია ჩივის: თანასწორ პირობებში არ ვართ, არათანაბარი არჩევნები იქნება, ივლისის შუა რიცხვებამდე საშუალება არ გვეძლევა საარჩევნო სტრატეგია დავგეგმოთ.**

— არცერთხელ, არასდროს, არცერთი ოპოზიციური პარტიისგან არ მომისმენია, რომ ეთქვათ: ჩვენ, თანაბარ არჩევნებში ვიღებთ მონაწილეობასო. ყოველთვის, ერთიდაიგივე ფრაზა მესმის: ხელისუფლება, აუცილებლად, გააყალბებს არჩევნებსო. ბოლო 30 წლის განმავლობაში ეს ყველა ოპოზიციონერის მთავარი ფრაზაა. ამას ვამბობდით ჩვენც როცა 2012 წელს ოპოზიციაში ვიყავით. ეს არის ქართული საპარლამენტო არჩევნების ტრენდი — მთავრობამ, აუცილებლად, უნდა გააყალბოს არჩევნები. გააყალბებს თუ არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია ილაპარაკო. მე, პირადად გარდაბანში არჩევნები მართლა გამიყალბეს, რისი დამადასტურებელი უამრავი დოკუმენტი მქონდა, მაგრამ ბევრ ადგილას გაყალბება არ მომხდარა. მაგალითად, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარებმა ოლქები ერთმანეთის მიყოლებით მოიგეს. ახლაც, იგივე სიტუაციაა — ოპოზიცია გაიძახის: მზად არ ვართო, ხან ერთს ამბობენ, ხან მეორეს. ცოტა ხნის წინ ამბობდნენ: 15 ივნისამდე თუ მივიღებთ კანონს, მაშინ ნორმალურ რეჟიმში შეგვეძლება მუშაობაო. ახლა იძახიან: მომზადებას ვერ ვასწრებთო. ეს არის ოპოზიციის მუდმივი ჩივილი, ვიდრე რეალობა. დასაწყისში რაც ვთქვი, იმას გავიმეორებ: დარწმუნებული არ ვარ, რომ ოპოზიციას არჩევნების ჩატარება უნდოდეს.

**— რა სტრატეგიას ირჩევენ „ნაცები“?**

— „ნაცები“, აბსოლუტურად, ყველაფერზე არიან წამსვლელნი. შემიძლია გითხრათ, რომ მაქსიმალურად თავშეკავებული იქნება „ევროპული საქართველო“, მაგრამ „გაერთიანებული ოპოზიცია“ რომელიც „ნაციონალების“ გარშემოა შეკრებილი, რაზე წავა, ვერ გეტყვით, რადგან მათ იმდენი აქვთ დასაკარგი, რომ მტრისას და ავისას. ისინი თვლიდნენ, რომ 20 ივნისის ფაქტი ძალიან მომგებიანად გამოიყენეს და ოქტომბრის არჩევნებისთვის გარკვეული კარგი სასტარტო პირობები ჰქონდათ, მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა, ამ ამბავს წამოეწია პანდემია. მთავარი ის არის, რომ დღეს ხელისუფლებას ბევრად კარგი მდგომარეობა აქვს, ვიდრე თუნდაც, იანვარში ჰქონდა. ამიტომ, „ნაცებს“ ეს დაწყობილი სტრატეგია აერიათ. შედეგად, ახლა გაუგონრად იქცევიან — პარლამენტში „ნაციონალების“ დეპუტაცია ისე იქცევა, მსგავსი საქციელი არცერთ პარლამენტში არ მახსოვს.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# კორონაეპიდემია ეს არის გლობალური მოვლენა, რომელიც თავისი მასშტაბებით მსოფლიო ომის მასშტაბს უტოლდება

*გვესაუბრება ექსპერტი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი სოსო არჩვაძე*

**— ბატონო სოსო, როგორ მოგწონთ მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული გეგმა, თქვენი აზრით, იქნება ეს გეგმა ეფექტური?**

— შედეგის თვალსაზრისით, ეს არის გლობალური მასშტაბის მოვლენა, რომელიც ზარალის მასშტაბებით, შეგვიძლია შევადაროთ მსოფლიო ომის მასშტაბებს. თუ მეორე მსოფლიო ომში ჩართული იყო მაშინდელი სახელმწიფოებიდან 65, ამჟამინდელი კრიზისი გაეროს მიერ აღიარებულ 200-მდე სახელმწიფოს შეეხო.



მხოლოდ ჩინეთის ეკონომიკამ წლევანდელი წლის დასაწყისიდან უფრო მეტი ზარალი განიცადა ეკონომიკაში, ვიდრე მილიტარისტული იაპონიის მიერ 1939 წლიდან 1945 წლის ჩათვლით გაღებული მთლიანი სამხედრო ხარჯები იყო.

საუბარია იმაზე, რომ გლობალური მასშტაბებით, ეს არის დაახლოებით, 9-დან 11 ტრილიონ დოლარამდე პირდაპირი ზარალი. არაპირდაპირი ზარალი ცალკე საუბრის თემაა.

ასეთ პირობებში საქართველო და დანარჩენი მსოფლიოც, ცდილობს შეიმუშაოს, მოდური ტერმინით, ე.წ. პროტოკოლი, რომლითაც მოახდენს პოტენციური, რეალური ზარალის მინიმიზაციას, რათა გატარდეს ღონისძიებები, რომ დარტყმის ეფექტი იყოს მინიმალური და მაქსიმალურად დაიცვას მოსახლეობა.

აქ ორმაგი ამოცანაა განსახორციელებელი. ერთი მხრივ, მოქალაქეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა და უზრუნველყოფა, მეორე მხრივ, ეკონომიკისთვის მიყენებული ზარალის მინიმიზაცია, ანუ რასაც დავხარჯავთ მოსახლეობის ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაზე, მით მეტი სახსრები გვრჩება ეკონომიკის რეაბილიტაციისთვის, განვითარებისთვის, მოსახლეობის სოციალური დახმარებისთვის. უნდა მოიძებნოს, ე.წ. ოქროს შუალედი, რომ არ დავაზარალოთ არც ერთი მხარე და არც — მეორე. პრინციპში, თუ შევხედავთ მოვლენას, ეს არის პრობლემა, რომელსაც აქვს ორი გამოსავალი, მაგრამ ეს პრობლემები ერთმანეთთან ზიარჭურჭლის პრინციპით არიან დაკავშირებულნი. შეუძლებელია, ერთი საკითხი გადავჭრათ აბსოლუტურად კარგად, დავიცვათ მოსახლეობის ჯანმრთელობა, მაგრამ ეკონომიკა გაგვიჩერდეს, ასე არ გამოვა, არც პირიქით. ეს პრინციპი უდევს საფუძვლად ანტიკრიზისულ გეგმას. ისიც გავითვალისწინოთ, რომ ეს არის ანტიკრიზისული და არა პოსტკრიზისული გეგმა.

განვიხილოთ გეგმის ძირითადი მიმართულებები.

პირველ რიგში დგას დასაქმებულ ადამიანთა სოციალური დაცვა.

მყისიერად მოხდა წარმოებების გაჩერება, ეკონომიკა გლობალურად დაპაუზდა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ წლეულს უკვე სამჯერ რადიკალურად შეცვალა პროგნოზი მსოფლიოში უმუშევართა რაოდენობის ცვლილებების გათვალისწინებით.

პირველ რიგში, ეს იყო, დაახლოებით 100–90 მლნ. მერე ციფრი გაზარდეს 250-მდე და ბოლო, 30



აპრილის მონაცემებით (სხვა მონაცემები ჯერ არ გამოქვეყნებულა), ვარაუდობენ 35 მლნ-მდე რეგისტრირებულ უმუშევარს. ანალოგიური მდგომარეობაა ჩვენთანაც.

აშშ-ში, მაგალითად, გასული წლის ბოლოს თუ იყო უმუშევრობის დონე 3,02%, წელს წლის დასაწყისში უკვე თითქმის 30%-იან უმუშევრობას ვარაუდობენ.

ტაილანდში, რომელიც ტურიზმითა და სპეციფიკური მომსახურებით გამოირჩეოდა, უმუშევრობის დონე, დაახლოებით, 1,07% იყო, დღეისთვის ვარაუდობენ, რომ ეს ციფრი 25%-მდე გაიზრდება.

**— საქართველოში რა მდგომარეობაა ამ მხრივ?**

— ჩვენთანაც ანალოგიური სიტუაციაა.

ტურიზმის პირდაპირი წვლილი საქართველოს ეკონომიკაში დაახლოებით, 8% გახლდათ. ეს არის მთლიანი შიდა პროდუქტის, დაახლოებით, 4-დან 4,2 მლრდ. ლარამდე, ხოლო ტურისტების მიერ დახარჯული თანხის სიდიდით ეს, დაახლოებით, 10 მლრდ. ლარზე მეტია. წარმოიდგინეთ, ეს თანხა რომ ერთბაშად დააკლდება ეკონომიკას.

არ მინდა ვინმე სკეპტიკურად განვაწყო, მაგრამ გრძელვადიანი ორიენტაცია ტურიზმზე ყოველთვის არ ამართლებს. შეიძლება რენტაბელობა მაღალია, მოგებაც სწრაფად ხდება, შემოსავლიანია, მაგრამ გარე ფორსმაჟორული სიტუაციებისთვის და ნეგატიური მოვლენებისადმი საკმაოდ მოწყვლადი სფეროა. პატარა პრობლემა და ეს დარგი ჩერდება. ამიტომ ორიენტაცია უნდა ავიღოთ რეალური სექტორის განვითარებაზე. განსაკუთრებით იმ დარგებისთვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში გამოიყენებენ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციებს.

სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც ამას ემსახურება — ერთჯერადად გავუწიოთ დახმარება უმუშევრებს. ერთნი, რომლებიც დაქირავებულ მუშახელად მუშაობდნენ, მათთვის 1200 ლარი 6 თვის განმავლობაში, ვინც თვითდასაქმებული იყო, შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში, ერთჯერადად მიიღებენ 300 ლარს.

ანალოგიური დამოკიდებულება სხვა ქვეყნებშიც.

ბევრია თუ ცოტა ეს სუბსიდირება, სხვა თემაა, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია შესაძლებლობაზე.

საქართველოს ეკონომიკა იმდენად სუსტია და მცირე, რომ მეტი შესაძლებლობა, ნამდვილად არ იყო.

**— მთავრობის გადაწყვეტილებით, თვითდასაქმებულები, რომლებიც წარმოადგენენ ცნობას დასაქმებულობის შესახებ, მიეცემათ 300 ლარი. ამ ცნობას მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ წარადგენს, რადგან, მაგალითად, ვინც თვითონ ყიდდა ყვავილებს, ან მწვანილს, თავის თავს ცნობას ვერ გამოუწერს, გამოდის, რომ კომპენსაციის გარეშე რჩება. იცის ვინმემ, რამდენია ასეთი ადამიანი საქართველოში?**

— აუცილებელია, არსებობდეს აღრიცხვა მინიმალურ დონეზე მაინც.

ნახეთ, როგორ მოიქცა აშშ. ამერიკის ყველა მოქალაქე, რომლის შემოსავალი, თუ მარტოხელაა და შემოსავალი აქვს წელიწადში 75 000 დოლარამდე, იღებს ერთჯერად დახმარებას 1200 დოლარის



ოდენობით. თუ ოჯახის შემოსავალი არ აღემატება 150 000 დოლარს წელიწადში, ოჯახის თითოეული წევრი იღებს, ასევე, 1200 დოლარს. ამათ გარდა, ბავშვები 17-წლამდე იღებენ 500 დოლარს ერთჯერადი დახმარების სახით. ანუ ყველამ მიიღო დახმარება, რა თქმა უნდა, მილიონერების და მილიარდერების გარდა.

ასე რომ მიდგომოდნენ საკითხს, ბევრ გაუგებრობა გამოირიცხებოდა საქართველოში, მაგრამ იმდენად არაორდინარულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, რომ ჩვენს მედიკოსებს და ხელისუფლებას, ერთხელ ვთქვი და ვიმეორებ: სიარულის სწავლა სირბილის დროს უწევთ, ამიტომ შეცდომების დაშვებისგან არავინ იყო დაზღვეული.

რაც კეთდება, რა თქმა უნდა, კეთილი სურვილებით კეთდება, მაგრამ, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს ემსახურება იმ სტრუქტურისა და ტექნოლოგიური დონის შენარჩუნებას, რაც აქამდე გვქონდა. ჩვენ კი უნდა ვიფიქროთ პერსპექტივაზე. თუ გვინდა ანტიკრიზისული პერიოდიდან პოსტკრიზისულ და პოსტპანდემიურ პერიოდზე გავთვალოთ სოფლის მეურნეობის განვითარება, მით უფრო, რომ სოფლის მეურნეობა ჩვენი ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლია და ამ სფეროში შრომის მწარმოებლურობა, საქართველოს ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით 9-ჯერ დაბალია. ერთი გლეხი იმდენ პროდუქციას ქმნის, რაც საკმარისია ორნახევარი ადამიანის შესანახად, როცა ევროპაში ერთი გლეხი, დაახლოებით, 75 ადამიანს უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ხოლო ისრაელში 98 ადამიანს.

ისრაელში აგრარულმა სექტორმა ნაკლები კორელაცია განიცადა მიწის ხარჯზე. იმდენი კომპოზიტი შემოიტანეს, მეცნიერულად მიუდგნენ აგრარულ წარმოებას, ქიმიას, ბიოლოგიას, რომ, ფაქტობრივად, სოფლის მეურნეობა ისრაელში გახდა ინდუსტრიისა და მეცნიერების სიმბიოზი, დარგი, რომელიც ქმნის გაცილებით მეტ დამატებით ღირებულებას და არის ექსპორტზე ორიენტირებული.

ჩვენთან 400 მლნ დოლარამდე აგრო-სასურსათო პროდუქცია შემოგვაქვს ყოველწლიურად.

2019 წელს 65 მლნ. დოლარის ქათმის ხორცი შემოვიტანეთ უცხოეთიდან.

**— რა უნდა გაკეთდეს?**

— უნდა მიექცეს ყურადღება აგრარული ფირმების განვითარებას. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ვინარჩუნებთ აგრარული წარმოების იმ სტრუქტურას, რომელიც ათაბაბადან მოდის.

ვერ განვავითარეთ კოოპერაციული სექტორი, თითქოს ეს მოძველებულიაო, არადა მთელი ევროპა დღეს ამ გზით მიდის.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# ვანო „გაღლეტილი“, სინამდვილეში, მილიარდერია და სხვადასხვა პირებზე გადაფორმებულ უზარმაზარ ქონებას ფლობს

## ციკლიდან: რაც სააკაშვილმა ჩაიდინა, ეს არის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. ის ორი მუხლით უნდა გასამართლდეს – როგორც სახელმწიფო და როგორც სამხედრო დამნაშავე



გაგრძელება.
დასაწყისი იხ. „სგ“ N14-15

### ვანო „გაღლეტილის“ მილიონები

ციხიდან გამოსულმა ქვეყნის ექს-„ხერხემალმა“ ვანო მერაბიშვილმა დაიწუწუნა, ისე მიჭირს, მშობლები რომ არ მეხმარებოდნენ, შიმშილით გამძვრებოდა სულიო. გთავაზობთ „ღატაკი“ ვანო-უდელის ქონების არასრულ ნუსხას, რომელიც კუდ-ის ყოფილმა თანამშრომელმა ნიკა ბერიძემ მოგვაწოდა: სასტუმრო ჩაქვში; სახლი ეგზოტიკურ ესპანეთში; აგარაკი რუსეთში (თან როგორი „ოკუპანტმოძულეები“ გვყავს ნაცსექტა); საქართველოს დედაქალაქის პრესტიჟულ უბნებში მინიმუმ ხუთი დიდი მოცულობის ბინა, წყნეთში აგარაკი; ვილა თბილისის ზღვაზე; გორში ხილის შესანახი მაცივრები; ვენახები თელავის რაიონში;



ახალციხეში მაღაზიები და ოფისები. მერაბიშვილი მშობლიურ უდეში (ადიგენის რაიონი) მინიმუმ 15 ჰა მიწასა და სახლებს ფლობს; სახლი აქვს აბასთუმანში; დედოფლისწყაროს რაიონში, კერძოდ, შირაქში სასოფლო-სამეურნეო მიწები; ქვემო ქართლში მესაქონლეობის ფერმები; ანანურსა და თიანეთში სახლები. „ზედაზენი“, „ბარამბო“ და საერთოდ, ყველა ბიზნესი, რაზეც მცხეთა-მთიანეთის ექს-გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი პრეტენზიას აცხადებს, რომ მისია, რეალურად მერაბიშვილს ეკუთვნის, ჩოჩელი უბრალოდ, „მოურავია“ მცირე წილით. ქეშად, ანუ ნაღდ ფულად ვანო-„გაღლეტილს“ 200 მილიონი დოლარი აქვსო.

ერთი, ფრიად საინტერესო ინფორმაცია, განსაკუთრებით იმ „კონტიგენტისთვის“, რომლისთვისაც კოლექტიური ნაცები და მათი ბელადი, პრეზიდენტყოფილი მიხეილ სააკაშვილი პატრიოტიზმისა და ეროვნული კულტურის დამცველის კლასიკურ მაგალითად მიაჩნია, ახალციხეში რაბათის ციხის ე.წ. მშენებლობა-რეკონსტრუქციას რეალურად სულ სხვა საფუძველი ედო. ციხის ტერიტორიაზე XI–XII საუკუნის განძეულობა, ანტიკვარები, ოქროსა და ვერცხლის ნივთები, სამკაულები და სამშვენისები ყოფილა დაცული, რომელთა საერთო წონაც რამდენიმე ტონას უტოლდებოდა.

**ნიკა ბერიძე:** რაბათის ციხეს XI–XII საუკუნეებში როგორც იტყვნიან, შემნახველი ბანკის მთავარი ოფისის დანიშნულება ჰქონდა. ნაციონალების უმაღლეს ლიდერებს გაწერილი ჰქონდათ გეგმა, რა უნდა გაეკეთებინათ, არსებობს ფაქტები, ასე რომ, გამოძიება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. შემიძლია გითხრათ, ვინ იყო რაბათის ციხის ე.წ. მშენებლობის ხელმძღვანელობა, „პრარაბი“ (სამუშაოთა მწარმოებელი), მუშები. მაშინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ბიძამისმა და შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ათეულობით ტონა ოქრო წაიღეს იქიდან. ეს არ იყო ჩვეულებრივი ზოდები და



ასე ვთქვათ ოქროს ჯართი, ეს იყო ანტიკვარული ნივთები. ციხის გახსნის რეალური მიზეზი ამ განძეულის ამოღება და გაქრობა იყო. არცერთი გაზეთის და სხვა მედიასაშუალების ჟურნალისტს არ უსაუბრია ამ ინფორმაციაზე. აუცილებლად უნდა მოხდეს გამოძიება, დაკითხონ ის მშენებლები და მუშები, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ ე.წ. მშენებლობა-რეკონსტრუქციაში. რაც ყველაზე მთავარია, გაირკვეს სად წავიდნენ ის ორი ახალგაზრდა კაცი, ტრაქტორისტი და მეექსკავატორე, რომლებიც მანდ მუშაობდნენ, ორივე უკვალოდაა გამქრალი. ამ საკითხით აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ხელისუფლება, ქვეყნის ღირსების საქმეა გაირკვეს რა დანაშაული ჩაიდინეს ნაძირალა ნაციონალების ლიდერ-შიფმა და რატომ დაიღუპა ის ორი ახალგაზრდა, უფრო ზუსტად, დახოცეს. მშენებლები და მუშები მხოლოდ იმიტომ გადარჩნენ ცოცხლები, რომ მათ საგანძური არ უნახავთ. მე რომ ვიცი ეს ამბავი, დარწმუნებული ვარ, ბევრ სხვასაც ეცოდინება, ასე რომ, ძნელი არაა ამ საქმის გამოძიება. რატომ არ ინტერესდება ხელისუფლება ნაციონალების ქონებით? იგივე მერაბიშვილს თელავის რაიონში უზარმაზარი ვენახები აქვს, ქობულეთსა და ბათუმში სასტუმროები, თავის მშობლიურ სოფელ უდესა და შემოგარენში მთელი ხე-ტყე მაგისია. ახალციხის ტერიტორიაზე ოფისები, ბარები, რესტორნები მერაბიშვილს ეკუთვნის, იგი კომპანია „ბიუ-ბიუს“ (ქათმების ფერმა) 50%-იანი მეწილეც გახლავთ. ამის გადამოწმებაც ადვილად შეიძლება. მეორე მეწილე აწ გარდაცვლილი კახა ბენდუქიძე იყო, ამ კომპანიაში წილს ფლობს საქართველოს პრეზიდენტობაზე მეოცნებე გრიგოლ ვაშაძეც. „ბარამბო“, „ზედაზენი“ და თუ კიდევ რაიმე არსებობს მაგ კომპანიასთან მიბმული, ყველაფერი ვანო მერაბიშვილისაა. ცეზარ ჩოჩელი არის ჩვეულებრივი დირექტორი, გასაგებია, რომ მაგასაც ექნება გარკვეული წილი



და ქონება, მაგრამ მთავარი მერაბიშვილია. ლიანდაგის შპალები რომ მზადდება, ამას ჩოჩელთან დაკავშირებული კომპანია აკეთებს, ე.ი. ეს ქარხანაც „ღატაკი“ ვანოს კუთვნილებაა. რაბათის ციხის საცავიდან ამოღებულ 55 ტონა ოქროულიდან, სულ მინიმუმ 15 ტონა



ანტიკვარული ნივთები იყო. პირობითად რომ ვთქვათ, თუ ჩვეულებრივ ოქროზე ასჯერ უფრო ძვირი ღირს. ამ უძველესი ნაკეთობების ფასი ყველაზე ცოტა, მილიარდი დოლარი მაინც იქნება. მათი სისხლიანი წარსულიდან ეს არის ერთი, უშუალოდ რაბათში ჩადენილი დანაშაული. ნაცების დორბლიანმა ბელადმა დიდი ზარზეიმით რომ გახსნა მისი „აშენებული“ ციხე და „ვეფხისტყაოსნის“ ცოდნითაც დაგვამახსოვრა თავი, ეს სპექტაკლი ამხელა განძის მოპარვას ემსახურებოდა. მერაბიშვილ-სააკაშვილის ტანდემს, ფულისა და ქონების მეტი არაფერი აინტერესებთ. ყველაზე მთავარი ისაა, რომ თუ რამე ფასეული და შემოსავლიანი არსებობს სამცხე-ჯავახეთში, ყველაფერი მერაბიშვილის და მისი სანათესაოსია, მისი დეიდაშვილ-მამიდაშვილების.

წარმოგიდგენიათ, რამხელა უსინდისობის შემსწრე ვართ, მერაბიშვილი დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანში იტყვის, სოციალურად დაუცველი ვარო. „დიდ ბიზნესმენ“ ჩოჩელსაც თურმე ხელს დემონური საგადასახადო კანონმდებლობით უშლიან, ეს არის დაცინვა. ესენი ყველა სს-ის დამნაშავეები არიან, რადგან მათი ყველა ქონება საეჭვო გზით არის მოპოვებული. რას წარმოადგენდა ან ერთი, ან მეორე, ვინ იყო მერაბიშვილი? 3.000 დოლარი ედო ჯიბეში და „ვალუტჩიკობდა“. მერე თბილისისკენ წამოვიდა, სააკაშვილის ძმაკაცობა-მეგობრობა მოიპოვა, რაღაც „ენჯეო“ შექმნეს და იქაც დიდი ფული იშოვა მერაბიშვილმა. მის უძრავ ქონებებზე აღარ მაქვს საუბარი. თბილისში, პრესტიჟულ ადგილებზე სადაც არის გაქირავებული საოფისე ფართები, ყველაფერი მაგათია, კერძოდ, მერაბიშვილისაა. თიბისი ბანკის ოფისები სადაც არის, ესეც მაგათია, ხაზარაძეც ჩვეულებრივი მერაბიშვილის „შნირია“. ყველა ბიზნესმენს შეეხნენ ნაცრეჟიმის დროს და ხაზარაძეს ერთი თეთრი არ წაართვეს. ჩოჩელზე ხომ აღარ არის ლაპარაკი, ეგენი ყველა ყაჩაღთა ერთი გუნდია. რასაც ვამბობ, საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს, ჩვენი, ხალხის შეურაცხყოფაა, რომ არ ვიცით რეალობა. საზოგადოების 15–20%-ია მხოლოდ საქმის კურსში, რადგან ფაქტები არ იდება ამ საკითხებთან დაკავშირებით, რა ქონებებს ფლობენ ეს ნაძირალები. ვიმეორებ, ახლა რაც ჩამოვთვალე, ეს არის მერაბიშვილის ქონების არასრული სია. ყველაზე მთავარი, როდესაც მერაბიშვილის დავალებით, ე.წ. სპეცოპერაციები ტარდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ამირან მესხელი კურირებდა ამ „სფეროს“, ყველას სახლის მისამართი და ქონება იცოდნენ. სადაც შედიოდა ოპერატიული ჯგუფი მათი დავალებით, ანტიკვარებს, ფულს, ოქროულობას, ყველაფერს ქურდბაცაცებივით იპარავდნენ და მესხელის კაბინეტში მიჰქონდათ. მესხელი ანაწილებდა „ნაალაფევს“









და დარწმუნებული ვარ, 90% მერაბიშვილს გადასცემდა. ერთ-ერთი ქურდის სახლი რომ გაჩხრიკეს, იქ ოთხი ცალი კონდიციონერი იყო, საიდანაც ოთხი მილიონი დოლარი ამოიღეს. ეს ფული მთლიანად მესხელმა აიღო და მერაბიშვილის კაბინეტში მიიტანა. ეს რა თქმა უნდა უკანონო ფული იყო და სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა შესულიყო, უნდა გაესაჯაროებინათ, რომ სამართალდამცავებმა ამხელა თანხა ამოიღეს. ბიუჯეტის მაგივრად ყველა ფული ამათ ჯიბეში წავიდა. ამიტომ ეს ჩვენ უნდა გავასაჯაროოთ, რაც ხდებოდა. ესენი ყველა სისხლისმსმელი და სს-ის დამნაშავეები არიან მერაბიშვილის მეთაურობით და მრავალწლიანი სასჯელებით უნდა წავიდნენ ციხეში. მერაბიშვილი ციხიდან გამოსულს არ გავდა, ოფისიდან გამოსული ბიზნესმენი გეგონებოდათ.

### ნაცკლასტერის რჩეული „ანგელოზები“

**ნიკა ბერიძე:** 2008 წლის ომის შემდეგ, ნაცრეჟიმი განსაკუთრებული სისასტიკით ყოფილი და მოქმედი სამხედრო მოსამსახურების, ჯარისკაცების, სპეცდანიშნულების სამსახურების თანამშრომლებისა და პარტიზანების მიმართ გამოირჩეოდა. ამის უშუალო შემსწრე მე თვითონ ვარ, როგორც ზუგდიდში, ისე „მოდულის“ შენობაში. საზოგადოება უნდა იცოდეს რას წარმოადგენს რეალურად თენგიზ გუნავა, რომელიც დღეს სამწუხაროდ პარლამენტში ზის ნაციონალების სიით და ჩვენი ჯიბიდან ფინანსდება. ეს პერსონა პარლამენტში კი არა, ციხეში უნდა იჯდეს. 2010 წლის დეკემბერში, ღამის 11 საათი იქნებოდა სენაკის ბაზაზე რომ მივედით, ცოტა ხანს გავჩერდით და გამოვედით ანაკლიისა და განმუხურის გზაგასაყარზე, სადაც ე.წ. რეიდი ჰქონდათ მოწყობილი შს დანაყოფებს. იქ იყო თენგიზ გუნავაც, რომელიც იმ პერიოდში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი იყო და მისი მოადგილე მეგის ქარდავა. ხომ წარმოგიდგენიათ რა ბანდასთან გვქონდა საქმე. მალევე მოვიდა ვანო მერაბიშვილი თავისი კორტეჟით, მას მოყვა დათა ახალაია, სოსო თოფურიძე და მათი პატარ-პატარა ჩინოვნიკები. თავდაცვის სამინისტროში მსახურობდნენ ჯარისკაცები, რომლებიც აფხაზეთიდან გადმოდიოდნენ, ისინი გალის რაიონში ცხოვრობდნენ და სამეგრელოს ტერიტორიაზე მსახურობდნენ, მათ ორივეგან ცხოვრების უფლება აქვთ. ის ორი ჯარისკაციც, რომლებიც ამ „რეიდზე“ დააკავეს, ჩვეულებრივ სამხედრო სამსახურის შესასრულებლად მიდიოდნენ უნიფორმაში ჩაცმულები სამეგრელოს ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო დანაყოფში. ეს ჯარისკაცები პირადად ნაძირალა თენგიზ გუნავამ გააჩერა, ისიც კი მახსოვს რა ეცვა იმ დროს მაგ ვირთხას. ბოდიშს ვიხდი ასეთი სიტყვებით რომ ვსაუბრობ, მაგრამ ნაცჯალათებს სხვანაირად ვერ მოვიხსენიებ. მათი იდეა სიბინძურეების კეთება იყო, ვგულისხმობ, მამაკაცების გაუპატიურებას, რასაც ვიდეოკამერით იღებდნენ კიდეც. ამ ჯარისკაცებს სასტიკად სცემეს თენგიზ გუნავამ, მეგის ქარდავამ და სოსო თოფურიძემ, ჩვენი ჯარისკაცებისთვის სულში ჩაფურთხებას პირდაპირ უყურებდა მერაბიშვილი და დარწმუნებული ვარ, დანარჩენი სადისტებივით მასაც სიამოვნებდა, ამიტომ ვამბობ, არ არსებობს კარგი ნაციონალი. არავითარი პოლიტიკური პარტია და ოპოზიცია,



ისინი არიან ჯალათი, მკვლელი, ტერორისტულ ორგანიზაციასთან მოთანამშრომლე დესტრუქციული ძალა. ყველა მიმართულნი არიან ჩვენი სახელმწიფოებრიობის განადგურების, გახრწნის, პიდარასტების აღზევებისა და ღირსეული ადამიანების დაძირვისკენ. ეს იყო ამათი დევიზი და ახლაც იგივეს აგრძელებენ.

### რა იყო ამ სასტიკი დასჯის მიზეზი?

შსს-ს ვითომ ინფორმაცია ჰქონდა, რომ ეს ჯარისკაცები იყვნენ ერთ-ერთი რუსი გენერლის (მისი გვარი არ მახსოვს) აგენტები და მისი დავალებით დივერსიული აქტები უნდა ჩაეტარებინათ მთელ საქართველოში. ეს „ინფორმაცია“ კი ჰქონდათ, მაგრამ ზუსტად სად უნდა ჩაეტარებინათ დივერსია ამ ჯარისკაცებს, „დიდმა ჩეკისტებმა“ ეგ თურმე არ იცოდნენ. რა სისულელეა, დივერსიების მოწყობა ასე არ ხდება. ისე სცემეს ამ ბიჭებს, რომ სისხლის გუბეები დააყენეს, მერე ჩაყარეს ავტომანქანაში და სამხარეო პოლიციაში წაიყვანეს. ნაშუაღამევს (2 საათი იქნებოდა) ჯვარის მიმართულებით წავედით, ჯვარის მერე უკვე სვანეთი იწყება, იქაც რაღაც სპექტაკლი იგეგმებოდა, თორემ იქ არც იარაღი და არც ნარკოტიკი არ ყოფილა. ამ მოძრაობაში გათენდა კიდეც, 6 საათი იქნებოდა სვანეთისკენ მიმავალი გზა რომ გადაკეტეს, ორივე მხარეს მიმავლებს აჩერებდნენ და ჩხრეკავდნენ. ხაზის „მარშრუტკა“ გააჩერეს და მძღოლის ჩათვლით, ყველა სასტიკად სცემეს განურჩევლად, ქალი იყო თუ კაცი. პირადად თენგიზ გუნავა სცემდა ამ ხალხს, გარეთ ხომ სცემდნენ, მერე თავიანთ ავტომანქანაში აგდებდნენ და იქაც სასტიკად უსწორდებოდნენ. მოყვანებული ყავდათ შავი ფერის, დაბურულმინებიანი „სპრინტერი“ (დიდი მოცულობის მიკროავტობუსი), ამ ნაცემ-ნაბეგვ ხალხს იქ ყრიდნენ და სამხარეო პოლიციაში გადაყავდათ. ჩვენმა თანამშრომლებმა მერე იმ პიკეტზე რამდენიმე ავტომანქანა გააჩერეს დაა ახალაიას დავალებით და ზოგს ნარკოტიკი ჩაუდეს, ზოგს იარაღი. მოკლედ, ისეთი სურათი შექმნეს, რომ „ინფორმაციის“ საფუძველზე რუსეთის „აგენტები“ ხომ დააკავეს და ამ ოპერაციის პარალელურად მეორე ოპერაციაც ჩაატარეს, იარაღი და ნარკოტიკიც ამოიღეს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ეს ყველაფერი იყო სააკაშვილისა და მერაბიშვილის გულის მოსაგებად გაკეთებული. ყველაზე ამაზრზენი ისაა, რომ მერაბიშვილი ამ ყველაფერს საკუთარი თვალით უყურებდა, რაც დანაშაულია, შს მინისტრი შუაღამეზე ტრასაზე დგას, მოქმედ სამხედრო პირებს სასტიკად უსწორდებიან, ცემაში კლავენ და ამას იწონებს, ე.ი. ესეც ჩვეულებრივი დამნაშავეა. ვისმენ ახლა მაგათი აბსურდულ საუბრებს, თავის მართლებას, რასაც ეგენი ამბობენ, ყველაფერი სიცრუეა. ვანო მერაბიშვილი არის მწამებელი და მკვლელი, თუ რამე ხდებოდა ზუგდიდში, გუნავა ყველაფერში მონაწილეობდა. ეს საშინელებები ძირითადად ზუგდიდში, გლდანის ციხეში, თავდაცვის სამინიტროში და სამხედრო პოლიციის შენობაში ხდებოდა, ვგულისხმობ გაუპატიურებებს. ჩვეულებრივი პოლიციის დანაყოფებში ეს სიბინძურეები არ ხდებოდა, ბაჩო ახალაიასა და მაგ ბანდას რომელ სისტემებთანაც ჰქონდათ შეხება, იქ ხდებოდა.

ეს, რაც 2010 წელს მოხდა და ჩემი თვალით ვნახე. ვიმეორებ, 2008 წლის ომის შემდგომ განსაკუთრებული სისასტიკით ჯარისკაცების მიმართ იყვნენ, იმ ჯარისკაცების, რომლებმაც მთელი სული და გული ჩადეს იქ, ფეხი, ხელი და ცხოვრება რომ დაკარგეს. განსაკუთრებული სისასტიკით ეს მაღალჩინოსნები გამოირჩეოდნენ და ამ ყველაფერზე უშუალოდ ბრძანების გამცემი იყო სააკაშვილი და რატომ — ყველა დანასაული, რაც მოხდა 2008 წელს, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანში, მათ შორის ჩემშიც პროტესტი, ტყუილისა და მართლის გარჩევა. მაშინ მაგათ ყავდათ თავიანთი აგენტურა, ვინ იყო სიმართლის მთქმელი, ვინ იყო მაგათი ლაქია. ისინი აწვდიდნენ ამ ინფორმაციებს, რა თქმა უნდა სრულიად ტყუილებს და ასეთი მეთოდებით. ყველაზე მთავარი, იმ ჯარისკაცების ცემა-ტყეპა რომ იყო, თენგიზ გუნავა მათ ეუბნებოდა ცოლებს და შვილებს გაგიუპატიურებთ, თქვენც ავტომატის კონდახით გაგაუპატიურებთო. ამის უშუალო შემსწრე ვარ მე და იქ ვინც იყვნენ, ყველას გვარ-სახელი, წოდებები და თანამდებობები ვიცი. ჩვენდა სამწუხაროდ თენგიზ გუნავა ახლა პარლამენტში ზის უტიფრად და ვითომც არაფერი, კანონების შექმნაში ღებულობს ვითომ მონაწილეობას დ ახელს აწერს რაღაცებზე. მის ბოლო დანაშაულებრივ ქმედებაზეც ვიტყვი, 2019 წლის 20 ივნისს რაც მოხდა მოგეხსენებათ, არავითარი პროტესტი ეს არ იყო, ეს იყო პირდაპირ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. იქ სულ 15–20 რიგითი მოქალაქე თუ იქნებოდა, დანარჩენები ამ არასამთავრობო-ენჯეოებთან დაკავშირებული, მაგათთან გაწევრებული „შნირები“, ბოკერიას, ბერძენიშვილების, ნათელაშვილის, ოქრუაშვილების ყველა ეს ბანდა. ყველაზე მთავარი რაც მანდ იყო, მანდ იყო მინიმუმ 30-კაციანი ჯგუფი, რომელიც სააკაშვილი საქართველოდან რომ გაუშვეს და უკრაინაში რომ ჩამოაყალიბა. მე სახეზე ვიცანი ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლები, ყოფილი ჯარისკაცები, ე.წ. ბაჩო ახალაიას ჯარისკაცები, დაზვერვის ჯარისკაცები ამ ჯგუფში. ეგენი იმიტომ იყვნენ საქართველოში ჩამოსულები, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ სპეცდანიშნულების თანამშრომლებისთვის და ფაქტიც უკვე დადასტურდა, რომ იქ ხელჩართული ბრძოლა იყო და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობდნენ.

გიგი უგულავას და ირაკლი ოქრუაშვილს მინდა შევეხო, რა ბიოგრაფიის ხალხია ეს ნაძირალები. ირაკლი ოქრუაშვილი როცა გენპროკურორი იყო, ცხინვალის რეგიონში განსაკუთრებით ყვაოდა კორუფცია, სიგარეტის, სხვა პროდუქტებისა და ნარკოტიკების კონტრაბანდა, მთელი ამ „კასკადის“ ორგანიზატორი იყო ოქრუაშვილი. მას უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი, რამდენიმე ფაქტი გავიხსენოთ და თუ დაინტერესდებით, სხვაზეც ვისაუბროთ. 2007 წელს ეგ რომ დაიჭირეს, ეგეც ტყუილი იყო და გეტყვით რატომ. ოქრუაშვილმა 2006 წელს, მაშინ თავდაცვის მინისტრი ბრძანდებოდა, პალიასტომის ტბაზე სანადიროდ ჩამოიყვანა ნაცების წინამორბედების მიერ დამნაშავედ და შესაბამისად ძებნილად გამოცხადებული ყოფილი მაღალჩინოსანი, რომლისთვისაც ბრალი არც თავად მოუხსნიათ და დიდი ქეიფებიც გამართა. ეს არის უტყუარი ინფორმაცია, ჩემი მეგობარი ოქრუაშვილის დაცვაში იყო, ჩაიწერა ეს ყველაფერი, ეს ჩანაწერებიც გვაქვს და თუ საჭირო გახდა, გამოვაქვეყნოთ. ჩემი მეგობარი იყო საზღვაო ძალების სარდლის მოადგილე, მან წერილობით მიმართა კონტრდაზვერვის სამსახურს, თავდაცვის მინისტრი ძებნილ პიროვნებასთან ერთად პალიასტომზე ნადირობსო. მოგვიანებით ჩემს მეგობარს რაც გაუკეთეს ამ ნაძირალებმა, შვილი გარდაეცვალა და ნება არ მისცეს, რომ შვილი ეგლოვა. მას ოცი წელი მიუსაჯეს დაუსწრებლად. ვიქტორ ჭელიძეზეა საუბარი, საზღვაო ძალების სარდალი ზურაბ ირემაძე რომ მოკლეს, მისი მოადგილე იყო. თავად სამხედრო ოფიცერია, პლიუს დაზვერვაშია ნამუშევარი, ჭელიძე ერთადერთი ოფიცერია საქართველოში, რომელსაც ორი წოდება აქვს, პირველი რანგის კაპიტანი (საზღვაო ხაზით) და სამხედრო პოლკოვნიკი.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

(გაგრძელება იქნება)

# ვანო კიღურაძის დასიზმრება, ანუ ჭირო, საიდან მოდიხარო?

მსოფლიოში აგორებული სიკვდილი ხომ კაცობრიობის დასჯაა და სხვა არაფერი. და უნებლიეთ აღიძვრის კითხვა: რა დააშავა ადამიანმა?! ისეთი რა ავნო ღმერთს და ბუნებას, როგორ შელახა ადამიანობის ცნება და რა უთავაზა საკუთარ „მე“-ს. ეს დიდი და ვრცელი პრობლემაა, რომლის სრული გაშუქება არაერთ მონოგრაფიულ შრომას მოითხოვს. ამჯერად კი ამ უბედურების რამდენიმე მიზეზს მოვიხმობ: უპირველეს ყოვლისა, ადამიანმა დაკარგა აღქმა იმისა, თუ რატომ გაჩნდა ამ ქვეყნად. მეორე, მან დაივიწყა, რომ უფლის ხატია და თავის საფუძველთან მისასვლელ გზას გადასცდა. მესამე, მას აღარა აქვს როგორც ღვთიური, ასევე ადამიანური სიყვარულის განცდა. მეოთხე, სხეული და მუცელი სულზე მაღლა დააყენა. მეხუთე, ნაცვლად იმისა, რომ თავის შემოქმედისკენ ამაღლება დაეწყო, დაბლა დაეშვა და ცხოველად იქცა. მეექვსე, იგი ასცდა ღვთის შემეცნების გზას და გარე სამყაროს პრაქტიკულ საქმეებში გახლართული, საკუთარი თავის განდიდებას და გამდიდრებას შეეცადა. მეშვიდე, უმსგავსოება და უზნეობა, უსამართლობა და ძალმომრეობა გააბატონა ამ ქვეყნად და მისთ... ერთი სიტყვით, მუხრანის არ იყოს: „საქართველოში უზნეობის სუფევს თარეში“.



ამ უზნეობის ზეიმობის ჟამს, რატომღაც, ვიტყოდი, ქრისტიანული მორალის ყველაზე დიდი მაგინებელ ნიცშეს კითხვა დამჩემდა. დაღლილს ჩამეძინა, ნიცშეს მიერ შთაგონებული სიზმარი ვნახე: სიკვდილის ველზე, უკაცრიელ ადგილას, სადაც მხოლოდ მწვანე გველები სასიკვდილოდ მოცოცებულან, ვიღაც, ადამიანის მსგავსი გონჯი არსება, რომელიც თავზე ამოზრდილი პატარა რქებით და ჩლიქებით ეშმაკს მაგონებს, ცქმუტავს და დახტის აქეთ-იქით... ზარათუსტრი ამ გონჯს ადანაშაულებს: „შენ მოკალ ღმერთი! შენ ვერ აიტანე ის, ვინც გიმზერდა, ვინც მუდამ გამჭოლი მზერით გჭვრიტდა. ყველაზე გონჯ ადამიანს! შენ შური იძიე ამ მორწმუნეზე! გონჯი ადამიანი კი ასე პასუხობს: „ის უნდა მომკვდარიყო... ის სწვდებოდა მის მალულ სირცხვილს და უგვანობას... ღმერთი, რომელიც ყველაფერს ხედავდა და მათ შორის ადამიანს, უნდა მომკვდარიყო“. ამას ასე ყბედობდა და თავს იმართლებდა ეს ეშმაკისეული გონჯი. გამეღვიძა ცუდი განწყობით ფუი ეშმაკო-მეთქი და პირჯვარი გადავიწერე. ჩემს შეშფოთებას იწვევდა არა იმდენად სიზმარი, რამდენადაც ამ ეშმაკის თვალებჭყეტია სახე, რომელშიც ცხადად შევიცანი ე.წ. ცნობილი აკადემიკოსი ვანო კიღურაძე. მისი ხილვა ცხადშიც არ მსიამოვნებს და ძილში რამ დამასიზმრა მეთქი ვბრაზობდი. თუმცა, მალევე გამახსენდა: დილას ხომ ინტერნეტ გამოცემაში (**For.ge**) მისი ინტერვიუ წავიკითხე, სადაც მისი „ნათელი“ თუ ბნელი აზრები იფრქვეოდა. ჯერ ის გამიკვირდა, ჩვენი სახელოვანი მედიკოსებისა და დღეს ქართველთა გადარჩენისთვის მებრძოლი, თავდადებული პატრიოტების: ამირან გამყრელიძის, თენგიზ ცერცვაძის და პაატა იმნაძის მოღვაწეობის შეფასება რაღა მაინცდამაინც მედიცინის სფეროს ერთობ დაშორებულ მათემატიკოს, სამშობლოს სიყვარულითაც თავს რომ ვერ მოიწონებს, მიანდეს. თუნდაც იმ აზრმაც გამიელვა, ანდა თავად რატომ იკისრა ეს არცთუ იოლი საქმე მეთქი. მოკლედ, სწორედ ამაზე ითქმის: „სად ერეკლეო და სად ვანოო!“ მაგრამ ბატონი ვანო რის მათემატიკოსი იქნებოდა, რომ ეს ამოცანა არ ამოეხსნა. მისი „ღრმა მეცნიერული“ დაკვირვებით, „თუ კაცი მეცნიერებაში სერიოზულად მუშაობს, ეს სწრაფად აისახება ხოლმე ინტერნეტში“ და ეს მან კარგად იცის, „როგორც მათემატიკოსმა“. ის გვიხსნის ციტირების ინდექსის დანიშნულებას, როცა მეცნიერის დაწერილ შრომას სხვა მეცნიერი თავის ნაშრომში იყენებს და წარმოაჩენს.

ზემოთ ხსენებული მეცნიერების ციტირების რაოდენობას (ა. გამყრელიძე, ც.ი. 6890, ე.წ. **h**-ინდექსი კი – 26; თ. ცერცვაძე – ც.ი. 835; **h** – ინდექსი 17; პ. იმნაძის ც.ი. 734 ე.წ. **h**-ინდექსი 16) წარმოგვიჩინა და ამგვარად ამტკიცებს მათ დიდ მეცნიერებას. ახლა მას უნდა მოვახსენო, რომ ზემო ხსენებული მედიკოსები მსოფლიოს დღევანდელი თავზარდამცემი პრობლემის განხილვის ცენტრში არიან და მათი ნაღვაწიც ფართოდ არის ცნობილი და აღიარებული არა შენი გამოჩხრეკილი ინდექსის მეშვეობით, არამედ მოქმედებით, და სწორი სტრატეგიით, წესიერებით და ქვეყნის სიყვარულით.



ხოლო, რაც შეეხება ინპაქტფაქტორით მეცნიერების შეფასების მეთოდს, რომელიც ვანო ბატონო, ძილშიც არ გასვენებს, მრავალი მეცნიერის მიერ უარყოფითად იქნა შეფასებული, ჯერ ერთი როგორც ფულის მოყვარულთა, ფულის საშოვნელად დაფუძნებულ, მეორეამა თუ იმ ე.წ. რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება, რომელთაც ორი, სამი, ხუთი, ცხრა და ა.შ. ავტორები ჰყავთ, ვერაფრით ვერ განსაზღვრავს ცალკეული მეცნიერი ინდივიდუალურ ღირსებებს და მესამე, რაც მთავარია, მხოლოდ ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული შრომებია ფასეული. ეს კი უპირველესად არის ქართული სახელმწიფო ენის სტატუსის უარყოფა. ამის დასტურია თუნდაც ის რომ, დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვაგანაც, სადოქტოროს დაცვის უფლება აქვთ მხოლოდ იმ მკვლევართ, ვისაც თავისი შრომის თეზისები ინგლისურად აქვს გამოქვეყნებული.

ამ, ვიტყოდი, ქართული სახელმწიფოს ქართული ენის აბუჩად აგდების ფაქტის მოსაძებნად შორს წასვლა არაა საჭირო: შენ, ბატონო ვანო, შენს მდიდარ სამეცნიერო მემკვიდრეობაში (ასსამოცდაექვსი ნაშრომი) რომელთაგანაც, როგორც მნიშვნელოვან გამოკვლევად წარმოდგენილ 9 წიგნსა და 60 წერილს შორის, არცერთი ქართული შრომა არ გაქვს დასახელებული. აბა, შენისთანა მსოფლიო დონის მეცნიერს როგორ ეკადრება მწირი ქართული ენით წერა და მერე საქვეყნოდ წარმოჩენა. სწორედ შენისთანა კუდაბზიკებზე უთქვამს ქართველ ხალხს: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“. არ იქნება ზედმეტი, ჩემო იმანო, ღამურას ტრაგედიას თუ გაიხსენებ ბოლოს, რომ ჰგოდებს:

**თვის ტომის დამწუნებელსა**
**ჭირი მიუვა კარზედა,**
**„ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა**
**და ნუ სცვლის თვისსა ენასა,**
**თორემ ბოლო დროს მოიმკის**
**ჩემსავით ცრემლსა დენასა!**

*** * ***

**„კრულია“ მისი ხსენება,**
**ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,**
**თვის ტომს ჰღალატობს და მითი**
**თვით ფიქრობს მაღლა**
**ფრენასა!**

ახლა ზოგიერთ დაუნჯებულ მკითხველს გაუკვირდება, რა დროს საბავშვო ლექსების შეხსენების ჟამიაო, მაგრამ საქმე ის არის, რომ საბავშვო ლექსი იმ ძირგამოცლილი ქართველების და უპირველესად კი ბატონი ვანოს მსგავს და პრეტენზიის გამომხატველთა გასაგონად არის თქმული, თავი რომ ცის კიდობანის მერცხლები ჰგონიათ, სინამდვილეში კი ყვავ-ყორნები არიან, ყრანტალით რომ აბეზრებენ თავს ქართველ საზოგადოებას.

ისე კი, ამხანაგო ვანო, მეცნიერი და მეცნიერული ნაღვაწი არ ფასდება, არც მეცნიერთა შრომების სიმრავლით და არც ფრანციცული და ინგლისური ენის გამოყენებით არამედ, იმით, თუ რა არის მასში ფასეული მეცნიერული თვალსაზრისით, რამდენად ადგება ის თავის სამშობლოს და მერე მსოფლიოს!

როგორც ირკვევა, შენ, ამხანაგო ვანიკო, შრომების სიმრავლით თავის წარმოჩენის სენი გჭირდა და გჭირს. ამას მაფიქრებინებს მეცნიერებათა დოქტორის შადიმან ხელაძის წერილში – („ვნანობ, რომ თავის დროზე ეს ადამიანი (ვანო კიღურაძე – ე.ჯ.) ხელმძღვანელად თვითონვე ავირჩიე“). მოყვანილი ასეთი ფაქტი: „უდიდესი ნიკო მუსხელიშვილი 14 სამეცნიერო შრომა ჰქონდა, რომელთაგან ბოლო 41 წლისამ გამოაქვეყნა.... ვანო კიღურაძეს 500 ნაშრომი აქვს და დღესაც წელიწადში 5–6 აქვეყნებს. მართალია, ვანოსა ვანოურმა ამპარტავნობამ ადრევე იჩინა თავი, მაგრამ არ მგონია ის იმდენად კადნიერი იყოს, რომ მუსხელიშვილს თავი გაუტოლოს. თუმცა შენგან, ჩემო იმანო, ყველაფერი მოსალოდნელია და ამიტომაც ჩემ მორიდებულ და არ შევცდები, თუ ვიტყვი, მოწინავე ქართველი საზოგადოების აზრს მოგახსენებ, ისეთ დიდ მათემატიკოსებს, როგორებიც იყვნენ: ანდრია რაზმაძე ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ანდრია ბიწაძე, გიორგი ჭოღოშვილი, ალბერტ თავხელიძე, ვიქტორ კუპრაძე, და სხვანი, რაც უნდა აფრიალო შენი ინგლისურად დაბეჭდილი შრომები, კოჭებამდე ვერ შეწვდები და, იცი რატომ, თუ ზოგიერთ მათემატიკოსს დავუჯერებთ შენი განტოლებანი თუ თეორიები, თავად რომ მოგწონს და ადიდებ, არავის არ სმენია არა თუ მსოფლიო არენაზე, არამედ შენგან დაწუნებულ „მცირე“ საქართველოშიც.

ზემორე უკვე აღვნიშნე, ადამიანმა საკუთარი თავის შეცნობით, რაც ემყარება სოკრატეს დევიზს: „შეიცან თავი შენი“, უნდა დაიწყოს სამყაროს გაცნობიერება და სხვათა შეფასება, მაგრამ შენ ამას არ იქმ, რადგანაც სულიერების ნატამალი არ გაგაჩნია, შინაგანობა ფუყე გაქვს. მეტიც ეს სიცარიელე თანდათან „პანდორას ყუთად გიქცევია: როგორც კი პირს გააღებ, უბედურებას და სიმყრალეს აფრქვევ. ალბათ, ამიტომაც ბუნებრივია, შენი მოწოდება არა შენებაა, არამედ მსხვრევა და ნგრევა. შენ დაიწყე ქართული სახელგანთქმული „მათემატიკის სკოლის“ დაშლა. სწორედ ამას გვაუწყებს შენი ნამოწაფარი შადიმან ხელაძე, რომელიც შენ „მათემატიკის ინსტიტუტის მუდმივ დირექტორად“ გაცხადებს მაშინაც კი, როცა ფორმალურადაც ამ პოსტზეც არ იყავი. და სწორედ იმ ხანად, როცა ტრადიციულად ძლიერი მათემატიკური სკოლის ნერგვა დაიწყეს, იმის ნაცვლად, რომ მფარველად და დამცველად მოვლინებოდი მას, როგორც შენივე მოწაფე შენიშნავს: „ბატონი ვანო აქუბარდიას ტელევიზიაში იჯდა და სხვას რომ არ დაესწრო, მათემატიკის დამცველის მანტია თვითონ მოირგო“. თუმცა შენ „ყველა გამოსვლის დროს მხოლოდ შენობაზე ლაპარაკობდი, არასოდეს გითქვამს, „ჩვენი დაშლის შემდეგ მათემატიკის ინსტიტუტი შედეგს ველარ დადებსო ან და იმის ნაცვლად, რომ „მაღალი გემოვნების მათემატიკოსები შეგენარჩუნებინა“, სხვა რამისკენ გქონდა ფიქრები მიმართული. როგორც ჩანს ვანოს ეს პრობლემა არ აინტერესებდა და, როცა მას უთხრეს „მოდით, ასპირანტების მიღებასა და სამეცნიერო მუშაობაზე ვიფიქროთ და ეს საქმე გამოვასწოროთ“-ო, ნაცვლად იმისა, რომ რამე ეღონა, „ადგა და ზედა სართულზე დიდი რემონტი ჩაატარა – თავისთვის სააბაზანო და აპარტამენტები მოიწყო. დღესაც

მაინტერესებს, რაში სჭირდებოდაო?“ გაკვირვებით კითხულობს ბატონი შადიმანი! უკაცრავად, ბატონო შადიმან, მაგრამ თქვენ კარგად არ შეგიცნიათ კიღურაძის ბუნება? ის ხომ სულით ხორცამდე სათავისო კაცია, მისი პრინციპია: „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო“ სწორედ ამიტომაც, მას არ აინტერესებდა ახალგაზრდა მეცნიერთა ბედი, არ აინტერესებდა მსოფლიოში „სახელგანთქმული მათემატიკოსთა სკოლის გადარჩენა“, მისთვის მთავარი იყო საკუთარი თავის გადარჩენა, სწორედ ამიტომაც, ყველაზე ძნელბედობის ჟამს „ვანომ, საერთოდ ყველაფერს თავი აარიდა, ფეხი დაჰკრა და ამერიკაში შვილთან წავიდა“. აი, ამ მისმა ფარისევლობამ და ქარაქუცობამ, როგორც თქვენ სამართლიანად ფიქრობდით ბატონო შადიმან, დაანგრია და მოსპო ქართული მათემატიკური სკოლის მდიდარი ტრადიციები, ზნეკეთილობა და პატრიოტული სულისკვეთება, მისმა შემქმნელებმა საფუძვლად რომ ჩაუყარეს. სწორედ ამიტომაც, ვიტყოდი, ბატონის ვანოს დიდი დამსახურებაა, რომ „შენობის დაკარგვასთან ერთად, მოისპო მათემატიკის მეცნიერებაც“ (შადიმან ხელაძე).

მაგრამ, ამხანაგო ვანო, შენი კვაჭი კვაჭანტირობა ამით არ ამოიწურება. შენ შექმენი ე.წ. „ქართული აკადემია“, რომელშიც მრავალი ღირსეული ქართველიც იღებდა მონაწილეობას, და თავი ისე წარმოაჩინე, რომ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი იყავი. არა და ერთი თქვენი ყოფილი ასპირანტის, მერე კი მ.სააკაშვილის „სამეცნიერო მრჩეველი“-ს მეშვეობით ცდილობდით მასთან საერთო ენის გამონახვას. გწადდა, ისე, როგორც ედუარდ შევარდნაძეს კალთაში ჩაუგორდი, მისი სიახლოვე გეგრძნო, მაგრამ არ გამოგივიდა და ხანგრძლივ ხვანხვალის შემდეგ ოცნების ტალღას ატორღიალებული პარლამენტში მოხვდი და განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეობას გამოჰკარი ხელი. მეცნიერებმა შვებით ამოისუნთქეს; აწი, გვეშველაო მეცნიერ აკადემიკოსს ჩააბარეს ჩვენი სფერო და მოგვხედავსო.

მოხედვით კი მოგვხედა, მაგრამ ნაცვლად აკადემიის დახმარებისა, დაიწყო მისი ნგრევა და დაშლა. როგორც თავად აცხადებს, ის თურმე ჩაება აკადემიის მაფიოზებთან ბრძოლაში, აი, რას წერს სულითხორცამდე „მაფიოზი“ ზემორე ნახსენებ ინტერნეტ ინტერვიუში: „ამ მხრივ აკადემიაში ძალიან მძიმე მდგომარეობაა. დღეს ამ საკითხის წინწაწევა არ ღირს, მაგრამ ფაქტია, რომ პირადად მე მეცნიერებათა აკადემიაში ხელჩართულ ბრძოლაში გახლდით, შევებრძოლე მაფიას. ამ მაფიოზებს მხარდაჭერა აქვთ, საერო ხელისუფლებაშიც მოიძებნებოდა მათი მხარდამჭერები და საეკლესიო მმართველობაში“. ალბათ, თავგადადებულო მებრძოლო ბატონო ვანო, ამ ბრძოლაში, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობ პროკურატურაში შენ მრავალი უსაფუძვლო და შეკოწიწებული ბრალდების და საჩივრების შეტანას. ცილისმწამებელი უტიფრად აცხადებს, რომ სინამდვილეში აკადემიას მაფიოზები დაუფლებიან და ვინ-ვინ და იგი სიმართლისთვის თავდადებული მეომარი ებრძოდა და ებრძვის ამ მაფიოზებს. რატომ ღმერთი არ გაიცინებს ამ უტიფარის უტიფრობაზე?! მაგრამ, ვიდრე ამ ზნედაცემულის ფარისევლობას და ცილისწამების განსჯას შეუდგები, საზოგადოებას უნდა ავუხსნა: ამ ცუდი გაგებით დონკიხოტის „ბრძოლას“ ორი მიზეზი აპირობებდა: პირველი ის გახლავთ, რომ მან მოინდომა პარლამენტის საჯდომიდან აკადემიის მმართველობა. ჯერ მოახერხა და ისეთი ადამიანები შეიყვანა აკადემიაში და ხელმძღვანელი პოსტებიც ჩააბარა (მაგ. თ. ნანეიშვილი), ვინაც თავის მეცნიერული მოღვაწეობით თავს ვერ მოიწონებდა მეორეც, მან შექმნა იმ ე.წ. მეცნიერთა გუნდი, რომლებიც მაფიოზური ცხოვრებით ცნობილნი იყვნენ ქართველი საზოგადოებისათვის, როგორც უღირსნი, ანუ არასწორი ცხოვრებით გამდიდრებული საქმოსნები. გასაოცარი სწორედ ის არის, რომ ამ სულის პატრონი და სხვათა სულის გამხრწნელი აცხადებს: „ბოლოს სამ არჩევნებში აკადემიაში



ისეთი ხალხი აირჩიეს, რომ არათუ აკადემიკოსად, ასისტენტადაც არ უნდა აერჩიათ! „ბუნებრივია აქ არ გულისხმობს იმ ე.წ. მეციერებს, თავად რომ „შემოტენა“ მეცნიერთა სამყაროში. ალბათ, არც იმის გახსენება სურს, მის აკადემიკოსად არჩევაში ე.შევარდნაძეს რა ღვაწლი მიუძღვის“.

მეორე და მთავარი მიზეზი ის არის, რომ მან, ვითარცა თხემით ტერფამდე კარიერისტმა (გავიხსენოთ თუნდაც მისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის პრეტენზია, რაც საბედნიეროდ თავად მათემატიკოსებმა გაუქარწყლეს) დეპუტატობის ამოწურვის და ჟამის დადგომისას, მოინდომა აკადემიის პრეზიდენტობა, ამას ადრეც ვერ მალავდა, წესიერ, დიდ მეცნიერს, აკადემიის პრეზიდენტ ა.თავხელიძეს კაბინეტში უხტებოდა და დასჩხაოდა: გადადექი, გადადექი და თავს უშველეო!... მაშინ ვერ მოახერხა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა – თამაზ გამყრელიძე აირჩიეს. ახლა კი, ყოველგვარ ხერხს მიმართა. მწვანე გველის ენა ატარტალა, ათასგვარ სიცრუეს, გაუგონარ სიბილწეს უგონებდა აკადემიის ხელმძღვანელობას, აამოძრავა პოლიტიკური ძალებიც. მაგრამ აკადემია მაინც აკადემიური სულის მატარებელია და ვერაგი ვანო მიხვდა, რომ თავის მიზანს ვერ მიაღწევდა და პარლამენტს მიაღებინა ის კანონი, რომელიც აკადემიის რეორგანიზაციას კი არა, მის ნგრევას იწვევდა და იწვევს დღესაც. ამ კანონის განხილვას არ ვაპირებ, ამას ალბათ აკადემიის საერთო კრება ითავებს. მაგრამ აღვნიშნავ, რომ წევრ-კორესპონდენტების ინსტიტუტის გაუქმება და მის ნაცვლად სტიპენდიანტების არჩევის მეთოდის შემოღება, სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა აკადემიის სიკვდილს, ასე რომ ესწრაფოდა მ.სააკაშვილი.

აი, ეს არის კიღურაძის შურისძიების შეფარული მიზანი. და ბოლოს, თავისი ინტერვიუს დასასრულს ეს არაკაცი წერს „მეცნიერებათა აკადემია ნებისმიერ ხელისუფლებასთან ახერხებდა ლავირებას. სულ ბოლოს გვახსოვს, როგორ პათეტიკურად მიულოცა ბიძინა ივანიშვილს, როგორც მეცნიერს დაბადების დღე და ბოლოს ეს მილოცვა წაშალა ფეისბუქიდან, რადგან საზოგადოების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. დასასრულს კი, მისთვის ჩვეული ყალბი პათოსით ასკვნის: „ვის უნდა მაგათი მილოცვა?!“

ახლა ამ „ჭკუისკოლოფს“ – ბატონ ვანოს უნდა მოვახსენო, რომ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობამ იმიტომ მიულოცა ბატონ ბიძინას, რომ იგი ქართული მეცნიერების მფარველი და მეცნიერებათა აკადემიის გადამრჩენია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ბატონ ბიძინას მეცნიერად მოხსენიება, რომელსაც დაცული აქვს საკანდიდატო, ახლანდელი გაგებით, სადოქტორო დისერტაცია. არ უნდა გაუკვირდეს თუნდაც ისეთ მოჩვენებით დიდ მეცნიერს, როგორიც ვანო ბიძიაა ამ დიდი ქველმოქმედის ამგვარი მოხსენიება უზნეო საზოგადოებას, გნებავთ, გვარამიასა და გაბუნიას თავკაცობით უკვირს, ვისაც ბატონი ბიძინას ხსენებისას თვალთ უბნელდებათ, როგორ დავიჯერო, რომ ამ ნაძირალათა რიცხვს ეკუთვნის, ჩვენი ვანიჩკა? მაგრამ შურისძიებამ ისე დააბრმავა, რომ ვეღარ მოზომა და კიდევ ერთი: ადამიანისადმი კეთილ საქმეთა გამო მილოცვა ძველი ქართული ტრადიციაა და დასაწუნი არ არის.

დასაწუნი და დასაძრახი, ბრძენო და მლიქვნელო ბატონო ვანო ის არის, რომ დადიხარ და ზოგიერთი პატიოსანი ადამიანი, თუ შენი ხედვით სახელგატეხილ კაცის სახელს უაზროდ თუმცა შეფარული ვერაგობით ყველა ბრუნვაში ატრიალებ, იმის იმედით, რომ ამის გამო არავინ გაგიკითხავთ! მეც არ ვკადრულობ შენ გაკიცხვას, შენ ბუნებას ვერ გავაკეთილშობილებ. მაგრამ გაფრთხილებ, რომ ზედმეტში ნუ გადადიხარ და სანამ ვინმეს ახსენებ, გამყრალი პირი კარგად გამოირეცხე, თორემ ეგ სიმყრალე თავად შენ გაგგუდავს!

მკითხველმა ისე არ მინდა გამიგოს, რომ დიდ ვანოს არაფერი არ დაუფუძნებია. არა, ბატონებო იგი არის ფუძემდებელი არჩევნების გაყალბების დიდი სკოლისა, რომელსაც ე.შევარდნაძის მმართველობის ჟამს ჩაუყარა საფუძველი და თავი გამოიჩინა, როგორც გაყალბების უბადლო ოსტატმა. სწორედ მისი მათემატიკური ნიჭის წყალობით ჩვენი საზოგადოება „კ. გამსახურდია, XXI საუკუნე“, რომელმაც 1995 წლის არჩევნებში 15% დააგროვა, პარლამენტის მიღმა დარჩა და მერე გაყალბებული აკადემიაში თამამად დააბოტებდა და ამაყობდა „ეგლა მაკლდა, ზვიადისტები პარლამენტში გამეყვანაო“. შენ იმდენად ბნელი არ ხარ, რომ არ იცოდე, ზვიადისტობა – ილიას გზის გაგრძელება იყო. და სწორედ ეს არც შენ დამფინანსებელ შევარდნაძეს და არც თავად შენ, როგორც მოძულეს ქვეყნისას არ გაწყობდათ. როგორც სიმართლის მთქმელმა კაცმა არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ გაყალბების ეს „სკოლა“ დიდი პატივით სარგებლობდა „მოქ. კავშირის“დროს, და კიდევ უფრო პატივს მიაგებდნენ მას მიხუინები, რომლებმაც ლამის მთელი საქართველო წაბილწეს. არ მგონია, ისტორიამ დაივიწყოს ბატონი ვანოს ეს დიდი ნაღვაწი და დამსახურება!

და კიდევ ერთი საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საზღვარგარეთ ფულის გატანის სავსებით ახალი ვანოსეული ხერხი და მეთოდი და გამოგონება. მოგეხსენებათ, მაშინ საწყალ ტურისტებს უკრძალავდნენ საზღვარგარეთ ფულის გატანას, და ისინი სხვადასხვა ხერხით – მატარებლის გარკვეულ ადგილზე, დამალვით, თუთუნის ქაღალდში გახვევით და გამოყვანილი თევზის მუცელში შემალვით ცდილობდნენ ამ „დანაშაულის“ ჩადენას. მაგრამ ივანე კიღურაძის მათემატიკურმა გონების გენიამ ყველას აჯობა და მან დააფუძნა ქვედასაცვალის, უფრო სწორედ, ნიფხავს გამოკერებული ჯიბით ფულის გადატანა. მართალია, ეს მეთოდი, როგორც ამბობენ, მაშინვე აღმოუჩენიათ და დიდი ვნებათაღელვა და მითქმამოთქმა გამოუწვევია ქართველ საზოგადოებაში, მაგრამ ვერავინ შეძლო კიღურაძისეული სიახლის და გამოგონების უგულებელყოფა და დაწუნება. ალბათ ამიტომაც არის, რომ დღესაც ამის თაობაზე ბჭობენ თუ მალულად ჩურჩულებენ.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ერთ საკითხსაც მინდა შევეხო, ის ირონიით ახსენებს ზურაბ გურულის მეცნიერულ მოღვაწეობას და ირონიით ამბობს, რომ მან ედგარ პოს ლექსები თარგმნა და „სინანულით“ დასძენს, რომ ეს ფაქტი არ იცოდა, თორემ წავიკითხავდიო. მე კი მას მაინც ვურჩევდი, რომ ედგარ პოს ლექსების კითხვას მამია გურიელის ლექსი წაიკითხოს, ასე რომ გევედრება:

**ცხოვრებაში რა შესვლას იწყებ,**
**და ბედიც კეთილგუნებიანი**
**თან დაგდევს, იმ დროს**
**ნუ დაივიწყებ,**
**რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი**

მაგრამ ჩვენი გურული მამია გურიელისგან განსხვავებით მწყრალად არის ადამიანობაზე.

ერთი სიტყვით, ჩემო პრინციპულო ბატონო ვანო, შენ ახლომხედველობით, კუდრაჭა ქცევით და ინგლისურად გამოქვეყნებული მეცნიერული ნაღვაწით, ფარშავანგის ფრთები რომ გგონია, ცდილობ თავი მოაწონო საზოგადოებას და გავიწყდება, რომ ფარშავანგის ლამაზი ფრთები „ შენ მოშიშვლებულ საჯდომს“ ვერ მალავს. იქნებ არც კი გავიწყდება და ეგოცენტრიზმითა და ამბიციებით დაავადებული, პროტესტის ნიშნად საზოგადოებას უჩვენებ საჯდომს და ზედ ხელებსაც ირტყამ, რა არის თქვენი ხედვა და აზრი სავსებით არ მაღელვებსო. ახლა შენ ბილწსიტყვაობას და ცილისწამებებს თუ გავიხსენებთ, შეიძლება დავასკვნათ: თქვენ, ამხანაგო ვანო, უკაცრავად შემეშალა, ამხანაგო ორჯონიკიძევ, ხარ ქართველთათვის უზნეო და ანტიესთეტიკური არსება, რომელიც, სულ მცირე, პანღურს იმსახურებ. ქართველები ერთობ ამტანი ხალხი ვართ, მაგრამ საზღვარს ნუ გადახვალთ, თორემ ისეთი ძალით ამოგკრავენ ჭიტლაჩს, რომ შენ დაწუნებულ საქართველოს მიღმა, იქ ამოჰყოფ თავს, სადაც მხოლოდ მწვანე გველები დაცოცავენ, ღმერთის მკვლელი ჯუჯები, დაბორიალებენ. მიხუინები, ლიბერასტები და პედარასტები და უგვანონი ლაღობენ მართალია, ეს საზოგადოება, დიდის პატივით მიგიღებს: გვესტუმრა, ღმერთის მკვლელი ჩვენი „ზეკაცი“ და საბოლოოდ გვიხსნის ამ ქრისტიანული მორალისგან, მძიმე ტვირთად რომ გვაწევს მხრებზე და ძნელად სათრევიაო! შენ შეიძლება ეს ჭიტლაყი არც კი გეწყინოს და არც კი გეტკინოს. მაგრამ მაინც დაფიქრდი, ძვირფასო ვანო და გადაწყვიტე ადამიანური ცხოვრება გიჯობს თუ ის „ზეკაცობა“, რომელიც კაცობრიობას დანგრევას და მოსპობას უქადის. კარგად ჩაფიქრდი, იქნება შენც გეშველოს და ჩვენც შვებით ამოვისუნთქოთ.

**ელიზბარ ჯაველიძე**

# გვჭირდება გარღვევის სტრატეგია – მობილიზაციური (ინოვაციური) განვითარება

## ყველაფერს კორონა ვირუსს ნუ დავაბრალებთ..

*გლობალური გამოწვევების პრევენციისა და ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებებზე ვაგრძელებთ საუბარს ცნობილ მეცნიერთან, საზოგადო მოღვაწესთან, საქართველოს მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარესთან – ნოდარ ჭითანავასთან.*

**იური პაპასქუა:** ალბათ დამეთანხმებით, რომ მთელი ძალისხმევა ახლა კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის შემდგომი პერიოდის ეკონომიკის განვითარებაზე, გლობალურ გამოწვევებთან გამკლავების ეფექტიანი ღონისძიებების დასახვასა და განხორციელების მექანიზმის სრულყოფაზე უნდა იყოს მიმართუ-



ლი. თქვენ როგორ გაქვთ ეს პროცესი წარმოდგენილი?

**ნოდარ ჭითანავა:** ქვეყნის განვითარების დღევანდელ, უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპზე, სახელმწიფო (ხელისუფლება), საზოგადოება არჩევანის წინაშე დგას: **მიზნობრივად, მაქსიმალურად, ეტაპობრივად აამოქმედოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების არსებული შესაძლებლობები (გარღვევის სტრატეგია – მობილიზაციური, (ინოვაციური) მოდელი და ამით უზრუნველყოს მაღალეფექტიანი ეკონომიკური სისტემის ფორმირების ხელშემწყობი გარემოს შექმნა ან ე.წ. კლასიკური, ტრადიციული ფორმით (გზით) დაიწყოს ეკონომიკის სისტემური კრიზისიდან გამოყვანის ღონისძიებათა განხორციელება. ამ უკანასკნელს ხანგრძლივი დრო სჭირდება და დიდი სოციალური დანაკარგებიც ახლავს. მესამე გზა არ არსებობს.**

პირველი მიდგომა გულისხმობს **ქვეყანაში არსებული რესურსების მაქსიმალურ კონცენტრაციას და მიზნობრივი პროგრამებით გამოყენებას. სტრატეგიული მიზნის მიღწევის ცენტრალური რგოლი (პრიორიტეტი), უპირატესად, მატერიალური წარმოების სფეროში (მრეწველობა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი) მაღალი ტემპებით ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა.**

**შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია: სოციალურ-ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირების, როგორც საზოგადოების განვითარების ძირითადი ფაქტორის, სწორად გააზრება და ვითარებაზე მისი ზემოქმედების რეალური მექანიზმების შერჩევა-ამოქმედება.** სახელმწიფოს პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის განვითარების **პოლიტიკური და ეკონომიკური მიზანშეწონილობა.**

**გარღვევის სტრატეგიის შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის განსახორციელებლად**

**საჭიროა სათანადო ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინსტრუმენტის შერჩევა-გამოყენება. ასეთად მიგვაჩნია 2021–2025 წლების სოციალურ ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამა.**

**ხაზგასმით ვამბობ, რომ სამწუხაროდ ქვეყანას, გარდაქმნების არც ერთ ეტაპზე, გამოწვევების ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკა, არც პროგრამა არ ჰქონია. დრო ჩამორჩენას მომავალშიც არ გვაპატიებს. სტრატეგიები მხოლოდ პროგრამებით ხორციელდება.**

პროგრამაში სამ მთავარ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი:

**პირველი** – განვითარების რომელ სტადიაზეა ქვეყანა? **მეორე** – საით უნდა წავიდეთ (სტრატეგიული მიზანი), რომელი მიმართულებით უნდა განვითარდეს ეკონომიკა? **მესამე** – როგორ, რომელი რესურსებით და რა პერიოდულობით არის გათვალისწინებული დასახული მიზნის მიღწევა? პროგრამა, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა.

**იური პაპასქუა:** როგორი უნდა იყოს პროგრამის ამოსავალი საწყისი, კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები?

**ნოდარ ჭითანავა: ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა და განვითარების თვისებრივად ახალ ტრაექტორიაზე გასვლისთვის მყარი მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლის მომზადება ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება-განმტკიცების განმსაზღვრელი პირობა-ფაქტორია.**

**პროგრამის უმთავრესი დანიშნულების – ეკონომიკის (უპირატესად მატერიალური წარმოების) მაღალი ტემპებით ზრდის (განვითარების) ამოცანის გადაწყვეტას უნდა დაექვემდებაროს ქვეყნის რესურსული პოტენციალი.** პროგრამაში უნდა აისახოს მშპ რეალური ზრდის მაჩვენებლები, მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურის ოპტიმიზაციის, შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების, ინვესტიციებისა და საგარეო-ეკონომიკური ფაქტორების მიზნობრივად გამოყენების პოტენციალი.

**იური პაპასქუა:** ცხადია, ეს მარტივი და მოკლე ვადებში შესასრულებელი სამუშაო სულაც არ არის. თანაც მოითხოვს ორგანიზებულობის მაღალ დონეს.

**ნოდარ ჭითანავა:** სახელმწიფოს, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქცია სწორედ ეს არის. პროგრამის შედგენაში მონაწილეობა უნდა მიიღოს, საბაზრო სუბიექტებთან ერთად, სახელმწიფო სტრუქტურებმა, სამეცნიერო კოლექტივებმა, არასამთავრობო სტრუქტურებმა, საერთაშორისო ეკონომიკურმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა, დაინტესებულმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. მათი ფართო მონაწილეობა პროგრამას შესძენს საზოგადოების დიდი ნაწილის კოლექტიური შრომით შექმნილი დოკუმენტის, ერთიანი სტრატეგიის სტატუსს, რაც დაპირისპირებული ძალების საზოგადოებრივი კონსენსუსის მნიშვნელოვანი ელემენტია. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რთულ ამოცანებს მარტო ვერ გავუმკლავდებით. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერა, ინვესტიციები, პოლიტიკური დემოკრატიის შემდგომი განვითარება-გაღრმავება, საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვის ნება და უნარი.

**პროგრამაში უნდა განისაზღვროს ეკონომიკური ზრდის რეალური რაოდენობრივი პარამეტრები (ნატურალური მოცულობები, ტემპები), მათი მიღწევის ეტაპები, პოლიტიკური და ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას.**

**პროგრამაში დაცული უნდა იყოს ქვეყნის მეგა, მაკრო, მეზა და მიკრო დონეზე სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კონცეპტუალურ საფუძველზე განხორციელების პრინციპი.**

გარღვევის სტრატეგიაში სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა ახალ ფუნქციებს შეიძენს. მისი მეშვეობით **შესაძლებელი გახდება არსებული მატერიალური რესურსების, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული, ფსიქოლოგიური ფაქტორების მიზანმიმართული გამოყენება, სხვადასხვა დონეზე მათი გადანაწილება და კოორდინაცია.**



ამასთან, საქართველოში მიკრო დონე სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა. მიწის რესურსების გამოყენების ფაქტობრივი მდგომარეობა, როცა ასეულ ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა არ მუშავდება, ამის თვალნათელი მაგალითია. სწორედ ეს არის შრომისადმი ამპარტავნული დამოკიდებულების და ათასი სხვა დაშვებული შეცდომის შედეგად თანდათანობით ჩამოყალიბებული რეალობა, რომელშიც **სიღარიბე (სიღატაკე) ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემად ჩამოყალიბდა.**

სიღარიბესთან ბრძოლის სხვადასხვა დროს გამოყენებული ფორმები (ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, ერთი მილიონი სამუშაო ადგილის, „საქართველო სიღარიბის გარეშე“ – „სტრატეგიები“, სიღარიბის მაჩვენებლების ხელოვნურად შემცირება და რიტორიკულ ლოზუნგებს ამოფარებული სხვა დაპირებები, საკმარისი არ აღმოჩნდა. ქვეყანაში შეიქმნა საშიში ვაკუუმი – ერთი მხრივ, „ახალი მდიდრები“ (ისინი, სამწუხაროდ, ცოტანი არიან) და მეორე მხრივ, „ახალი ღარიბები“ (სამწუხაროდ, ისინი საზოგადოების დიდი ნაწილია). ამ დროს კი საშუალო ფენის ჩამოყალიბება ვერ ხერხდება.

**დროა გავიგოთ: სიღარიბის დაძლევის ერთადერთი გზა გვაქვს – შევქმნათ ეფექტიანი ეკონომიკური სისტემა (ჩვენს შემთხვევაში „გარღვევის სტრატეგია – მობილიზაციური (ინოვაციური) მოდელის“ მიზანიც სწორედ ეს არის).** ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილიზაციის ცენტრალური ღერძი **მრეწველობაზე** გადის. **სამრეწველო პოტენციალი უნდა დაედოს საფუძვლად ეკონომიკისა და სოციალური სფეროს კომპლექსურ განვითარებას.**

ქვეყნის ეკონომიკაში აგრარული მეურნეობა მუდამ იქნება მისი იერსახის სიმბოლო. ამიტომ აგრარული მეურნეობის ეფექტიანი განვითარება ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების უპირობო ფაქტორია, მას განსაკუთრებული მიდგომა უნდა. ჩვენ კი ბარბაროსულად ვექცევით. ინტენსიურ მიწებს არ ვამუშავებთ. მიწა გაველურდა, ძირითადად, უცხოეთიდან შემოტანილი პურით ვიკვებებით, ინვენტარიც კი შემოგვაქვს. სასოფლო-სამეურნეო წარმოება არაკონკურენტუნარიან ნატურალურ მეურნეობას ეყრდნობა. **კოოპერაცია, როგორც ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურად ამოქმედების საიმედო ფორმა, ნელა ვითარდება. ამასთან, უნდა გვესმოდეს, რომ აგრარული მეურნეობა არამარტო რთული ბუნებრივ-საწარმოო, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ფენომენიცაა.**

**მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსული (განსაკუთრებით წიაღისეულის) პოტენციალის თანამედროვე მეცნიერული მიდგომებით შეფასების საფუძველზე უნდა განისაზღვროს მათი ეკონომიკური ზრდის პროცესში ეტაპობრივად ჩართვის ღონისძიებანი.**

**ამრიგად, ახალ პირობებში ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაში ამოსავალი უნდა იყოს მატერიალური წარმოების სფერო. აქ შექმნილი დოვლათის ზრდა – განაპირობებს ეკონომიკის სხვა დარგების, განსაკუთრებით, ინფრასტრუქტურის განვითარებას და ეფექტიან ფუნქციონირებას.** განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება მშენებლობის, ტრანსპორტის განვითარებას. ტურიზმი პერსპექტიული დარგია. მაგრამ მისი გაფეტიშება სწორი არ არის. მას თავისი ადგილი აქვს. იგი ეკონომიკაში დამბალანსებელი დარგის ფუნქციას ასრულებს.

**ახლებურ გააზრებას მოითხოვს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები.**

**საქართველოს ეკონომიკა რეგიონულ ეკონომიკათა ერთიანი მთლიანობითი სისტემაა, რეგიონების ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შედეგია, მათი თავისებურებების, ტენდენციების, კანონზომიერებათა, სამეურნეო ორგანიზაციული პრინციპების ერთობლიობაა. ამიტომ ქვეყნის შიდა რეგიონულ მრავალფეროვნე-**



**ბას, როგორც განვითარების სტრატეგიულ რესურსს, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და მომავალშიც ექნება.**

ქართული სოფელი (თემი), რომელსაც დღეს სტატუსიც არ აქვს, დაბა, ქალაქი, რაიონი (ახლა მუნიციპალიტეტი), მხარე, ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც მთელის (ქვეყნის) ნაწილი და თავადაც მთელი მათი შემადგენელი ნაწილების მიმართ ერთიანი გენეტიკური ფესვებით, ტრადიციებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნებით, ის ნიშანსვეტია, რომელიც ინდიკატორის ფუნქციას ასრულებს. **სწორედ ამ თავისებურებაში უნდა ვეძებოთ ქართული რეგიონალიზმის ფუძემდებლური პრინციპების განსაზღვრის ფილოსოფიური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური საწყისი.**

**გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში ცხოვრების ბუნებრივი და საწარმოო პირობები არათანაბრადაა განაწილებული. ამიტომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების ამოცანა ისტორიულიც არის და საგანგებოც.**

**რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება უნდა წარიმართოს კომპლექსური პროგრამით.** საგანგებო ყურადღებას მოითხოვს მთის რეგიონების განვითარება. **პერსპექტივაში გვმართებს მთის ფენომენის ისტორიული დანიშნულების (ფუნქციების) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სწორად გაცნობიერება.**

**ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებაში პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის როლის გაძლიერებისა და რესურსული პოტენციალის რაციონალურად გამოყენების მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში მიზანშეწონილია შეიქმნას პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი (ან სხვა ფორმით). მას უნდა განესაზღვროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატიური გეგმის შედგენის ფუნქცია (შესაბამის საკანონმდებლო ბაზის შექმნით).**

თანამედროვე პირობებში ინდიკატიური დაგეგმვის უპირატესობა ისაა, რომ ეკონომიკის განვითარების დაგეგმვა ხდება „ქვევიდან" და ეფუძნება კონსულტაციების, შეთანხმებების პრინციპს და ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ფენის (საკუთრების ფორმის მიუხედავად) ინტერესებს. ამასთან, ასრულებს საზოგადოებისათვის აუცილებელი და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდების ფუნქციას. ინდიკატიური დაგეგმვის ამოცანაა მთავრობის მიმდინარე და საშუალო ვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის და სტრატეგიის ჩამოყალიბება, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და მათი მიღწევის გზების ძიება, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის, დარგის და სოციალური ჯგუფის ინტერესების კოორდინაცია.

საქართველოში 2006 წელს კანონის „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ" გაუქმებით ქვეყანაში უფრო გაღრმავდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებიდან სახელმწიფოს თანდათანობით ჩამოცილების პროცესი.

საქართველომ არაუგვიანეს 5 წელიწადში უნდა შეძლოს ეფექტიანი (დაბალანსებული) ეკონომიკური სისტემის ფორმირება. **ამისათვის წინაპირობები, ფაქტობრივად, შექმნილია – პოზიტიურ ფაქტორთა ერთობლიობა (გეოეკონომიკა, საბაზრო მენტალიტეტი, ინტეგრაციული პროცესები, განვლილი გზის კრიტიკული ანალიზი და ა.შ.), ასევე კერძო სექტორის დომინირებადი მდგომარეობა (თუმცა ეკონომიკური სისტემა არაეფექტიანია). სახელმწიფოსთან პარტნიორობის გარეშე ეკონომიკა ეფექტიანი არ იქნება. ძლიერი ეკონომიკის გარეშე პოლიტიკური სუვერენიტეტიც კი ფიქციაა. კერძო სექტორის, ბაზრის და სახელმწიფოს თანაარსებობა, პარტნიორული თანამშრომლობა, ინტერესთა თანხვედრა არის ეფექტიანი ეკონომიკის ფუნქციონირების გარანტი. აი, მთავარი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ჩვენივე რეალობიდან.**



დღეს საქართველოს სამი სტრატეგიული რესურსი აქვს: **მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები; გეოეკონომიკური უპირატესობა; ინტელექტუალური პოტენციალი.** ამ რესურსების კომპლექსურად გამოყენების გარეშე, წინსვლა წარმოუდგენელია.

**ამრიგად, თანამედროვე საბაზრო და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების გონივრულ შეხამებაშია გამოსავალი. სწორედ ეს არის გარღვევის სტრატეგიის – მობილიზაციური (ინოვაციური) განვითარების განმსაზღვრელი პირობა.**

**იური პაპასქუა:** ჩვენ ერთგვარი შემაჯამებელი, ამასთან, პოსტპანდემიური პერიოდის ეკონომიკის განვითარების კონცეპტუალურ მიდგომებზე საგნობრივი საუბარი გამოგვივიდა. ასეთ შეზღუდულ ფორმატში თქვენ ფრიად საყურადღებო მინიშნებები გააკეთეთ. მადლობა, ბატონო ნოდარ.

საუბარს უძღვებოდა
**იური პაპასქუა**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სსუ პროფესორი

# მოხდება თუ არა ფერადი რევოლუცია ფერადი რევოლუციების სამშობლოში?



„... საომარ ვითარებაში მყოფი ქვეყნის პრეზიდენტად ვთვლი ჩემს თავს. უხილავი მტერი ყოველთვის ძნელი დასამარცხებელია", — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მარტის დასაწყისში. თეთრი სახლის ლიდერს მხედველობაში მსოფლიოში გავრცელებული ვერაგი კორონა ვირუსი ჰქონდა. გასულ კვირის დასაწყისში მინისოტას შტატში პოლიციელის მიერ აფროამერიკელი მოქალაქის მკვლელობამ მთელს ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო აქციები ააგორა.

მინიაპოლისში, ქალაქში სადაც მოხდა მკვლელობა, საპროტესტო აქციები თავდაპირველად მართლაც კანონის ფარგლებში, მშვიდობიანად მიმდინარეობდა. მალე მოვლენები რადიკალურად შეიცვალა — აქციის მონაწილეებმა დაიწყეს სხვადასხვა დაწესებულების დარბევა. შტურმი მიიტანეს და ცეცხლი წაუკიდეს პოლიციის შენობას. თავად პოლიციელები იძულებული გახდნენ შენობის სახურავზე ასულიყვნენ, საიდანაც ვერტმფრენებით მოხდა მათი ევაკუირება. მაღაზიების დარბევების გარდა, ხალხმა დაიწყო მასობრივი ძარცვა — მოროდიორობა. იპარავდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ — ჩიპსებიდან დაწყებული, ტელევიზორებით და მაცივრების ჩათვლით. მსგავსი მასობრივი მოროდიორობა სხვა 17 შტატშიც აღინიშნა.

უცნაური, აშშ-სთვის წარმოუდგენელი მოვლენები დაფიქსირდა




— სხვადასხვა ქალაქებში აქციის მონაწილეები წვავდნენ თავიანთ ქვეყნის სახელმწიფო დროშებს. აქციების ზოგიერთმა მონაწილემ გაიხსენა მარტინ ლუთერ კინგი (რომელიც XX საუკუნის 50–60-იან წლებში აშშ-ი იბრძოდა ფერადკანიანი მოსახლეობის უფლებების დასაცავად) ტყუილად ხომ არ იბრძოდა ჩვენთვისო, გაიძახოდნენ. იმის შესახებ, რომ ლუთერ კინგი მხოლოდ მშვიდობიანი ბრძოლის მომხრე იყო, არაფერი უთქვიათ.

საინტერესო სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა გასულ კვირას გამოცემა „ვაშინგტონ პოსტმა". გაზეთის ინფორმაციით აშშ-ი ყოველწლიურად ათასზე მეტი ადამიანი იღუპება პოლიციელების ხელით, მათ შორის თეთრკანიანებიც. თუმცა, თეთრკანიან მოქალაქეების მკვლელობის გამო საპროტესტო აქციები არ იმართება. ფერადკანიანთა მკვლელობის გამო, თუნდაც ბოლო 10 წლის მანძილზე რამდენიმე არეულობა მოხდა აშშ-ი, კარგად გვახსოვს. ამის თქმით გამო რასისტობას ნურავინ დაგვაბრალებს, რადგან ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე ძვირფასია, მიუხედავად მისი კანის ფერის თუ წარმომავლობისა.

დონალდ ტრამპმა დალუპულის ოჯახს პირადად მიუსამძიმრა. მომხდარი პოლიციელის მხრიდან საშინელ ქმედებად შეაფასა. მისივე განცხადებით, ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად ყველანაირ საშუალებას გამოიყენებს. იქვე გააკრიტიკა ზოგიერთი წესრიგის დამცველი „... გაქცეული პოლიციელი მძიმე სანახავია", — განაცხადა დონალდ ტრამპმა. დემოკრატების კანდიდატმა საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენმა შანსი არ გაუშვა, დაღუპული. ოჯახის წევრებთან დიდხანს ისაუბრა. ამით ცდილობს ფერადკანიან ამომრჩევლების გადაბირებას. თუმცა, შეძლებს თუ არა ძნელი სათქმელია, მის მიერ უკვე დაშვებული უხეში შეცდომების შემდეგ, როდესაც ერთ-ერთ გამოსვლაში უდიერად მოიხსენია ფერადკანიანები.

გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელი პოლიციელი და მოკლული 12 წლის წინ ერთად მუშაობდნენ მინიაპოლისის ერთ-ერთ ღამის კლუბში დაცვის სამსახურში. იმასაც ამბობენ ერთმანეთს პირადად არ იცნობდნენო. თუმცა, ყოველივე ამას მნიშვნელობა არ აქვს — ერთი გარდაცვლილია, მეორე დაპატიმრებული.

ოლიგარქებმა შეუტიეს ტრამპს, რომლებსაც არაფრით აწყობთ მისი მეორე ვადით გაპრეზიდენტება. საამისოდ ყოველნაირ საშუალებებს იყენებენ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ სოციალურმა ქსელმა „ტვიტერმა", რომლის აქტიური მომხმარებელია ტრამპი, დაბლოკა მისი ერთ-ერთი განცხადება. ამიტომაც გასულ კვირას დონალდ ტრამპმა გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც სოციალურ ქსელების საქმიანობას სახელმწიფო დაარეგულირებს.

ამასობაში კი, აშშ-ი „ქუჩების ომი" გრძელდება. არეულობაა დედაქალაქ ვაშინგტონში. გასულ კვირას ორჯერ სცადეს თეთრ სახლთან მისვლა.

აშშ-ი ამჟამინდელი სიტუაციის შეფასება ძნელია. 40-ზე მეტ ქალაქში, მათ შორის ვაშინგტონშიც მოქმედებს კომენდანტის საათი, რომელსაც არღვევენ აქციის მონაწილეები. ქალაქების ქუჩებში მობილიზებულია არმია და ბრონეტექნიკა. მსგავსი აშშ-ი რამდენიმე ათწლეულია არ ყოფილა. მომიტინგეებსა და პოლიციელთა რიგებში არის მსხვერპლი, არიან დაშავებულები. მაღაზიების მეპატრონეები იარაღით თავად იცავენ საკუთრებას. ამბობენ, რომ უკვე მოკლულია 4 მოროდორი...

რით დასრულდება ყოველივე, სავარაუდოდ მალე გამოჩნდება. დონალდ ტრამპი არ გამორიცხავს ჯარისთვის საბრძოლო იარაღის გამოყენების ბრძანების გაცემას. საინტერესოა, მოხდება თუ არა ფერადი რევოლუცია ფერადი რევოლუციების სამშობლოში?

**გია ბურდული**
551 71 27 07



## გრიგოლ იზორია:

# მე არც გიჟი ვარ, არც ფანტაზიორი-მეოცნებე და არც „მანია გრანდიოზა“ მჭირს, მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელმაც ცოტათი გაუსწრო დროს...

### ჩემი აღმოჩენების განხორციელება საქართველოს აძლევს შანსს, გახდეს წამყვანი სახელმწიფო მსოფლიოში და, საერთოდაც, მსოფლიო გახადოს სხვანაირი



გასულ კვირას რუსთავიდან გრიგოლ იზორია დაგვიკავშირდა და შეხვედრა გვთხოვა. აღმოჩნდა, რომ ის ფლობს უნიკალურ აპარატს, ე.წ. გენერატორს, მზის ენერგიის გამომმუშავებელ საშუალებას, რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები, ნებისმიერი დაავადების განკურნება შეუძლია.

მონათხრობით გავოგნდით, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს ყველაფერი არ იყო, გრიგოლ იზორიას უნიკალურ აპარატს ასევე ჰქონია სოფლის მეურნეობის პროდუქტების სწრაფად ზრდის შესაძლებლობა, ტყეების აღორძინების, ფაუნის გაჯანსაღების უნარი და წარმოიდგინეთ, ლითონწარმოების აქამდე არნახული შესაძლებლობაც.



ახლა კი მოვუსმინოთ თავად გრიგოლ იზორიას.

**— ბატონო გრიგოლ, ტელეკომპანია „პკტვ“-ს ეთერში, როცა თქვენი საუბარი მოვისმინე, გამახსენდა ადამიანი, რომელმაც პირველმა თქვა: დედამიწა ბრუნავსო და გიჟად ჩათვალეს. ვინმეს თუნდაც 100 წლის წინ რომ ეთქვა, ინტერნეტით მსოფლიოს დავუკავშირდებითო, არავინ დაიჯერებდა. არსებობენ ადამიანები, რომლებიც უსწრებენ დროს და ბიძგს აძლევენ და ავითარებენ კაცობრიობას.**

**ბევრი რამ, რასაც ჰყვებით, არის, თითქოსდა, ადამიანის გონების მიღმა. მოდით, უფრო დაწვრილებით მოუყევით „საერთო გაზეთის“ მკითხველებს თქვენი საქმიანობის შესახებ.**

— უძველესი ცოდნების შესწავლის შედეგად და ენერგეტიკული ცოდნების გათვალისწინებით, ბევრ რამეს მივაკვლიე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლური ცოდნის ჩასახვამდეც კი, თურმე, საქართველოში, ფაქტობრივად, ეს ცოდნები არსებულა და ძალიან მაღალ საფეხურზეც ყოფილა განვითარებული.

პირადად მე, სანამ ასეთ აღმოჩენამდე მივიდოდი, საკმაოდ ჩავუღრმავდი ფიზიკას, მედიცინას. შევისწავლე ბიოენერგეტიკა, ჰიპნოზის ხელოვნება, მანძილში ზემოქმედებები, რომლებსაც წინა საუკუნეებში ახორციელებდნენ. მაინტერესებდა, რეალობა იყო ყოველივე ეს თუ ზღაპარი.

**— თქვენ რამდენჯერმე თქვით, ცოდნას მივაკვლიე, აღმოვაჩინე, ანუ მივიწყებული ცოდნა იპოვეთ, დაფარული აღმოაჩინეთ?**

— მრავალი არტე-ფაქტი არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ მე რასაც ვაკეთებ, ეს არის ძველის, დავიწყებულის გახსენება და გამოყენება.

როცა გენერატორის შექმნა შევძელი და მეგონა, ძალიან დიდი რამ გავაკეთე, აღმოჩნდა, რომ ყოველივე ეს უკვე გაკეთებული იყო კარგა ხნით ადრე, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ვერ გამოიგონებს ისეთ რამეს, რაც არასდროს არსებულა, აღმოჩენა არის უკვე არსებულის, დავიწყებულის პოვნა.

ტექნოლოგია, რომელსაც მე ვიყენებ, 7000 წლის წინათ იყო ცნობილი და ატლანტები მას ჩვეულებრივ იყენებდნენ.

2000 წლიდან 2003 წლამდე დასავლეთ საქართველოში კვლევები მიმდინარეობდა იზორიების მთაზე. ამ მთაზე აღმოაჩინეს უმაღლესი სასწავლებლის ნაშთები ქურუმთათვის, საიდანაც ეგვიპტეში იგზავნებოდნენ უკვე კარგად მომზადებული ქურუმები.

თავად გვარი იზორია მზის ქურუმების სახელწოდებაა — იზო სახელია, რა — მზის ღმერთის სახელწოდება. იზორა მზის ქურუმს ნიშნავს, დაბოლოება ია, მოგეხსენებათ, მერე შეიძინა გვარებმა. ხომ გახსოვთ, „მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამაჩემი“ და ა.შ. მაგრამ მივუბრუნდები ჩემს შრომა-მოღვაწეობას. ვვარაუდობ, რომ აღმოსავლური ცოდნების შესწავლამ, მედიტაციების მაღალ დონეზე დაუფლებამ, ჩემში ამოქაჩა ის უძველესი, გენეტიკურ კოდში ჩამარხული წინაპრების ცოდნა, თორემ, დარწმუნებული ვარ, ჩემზე მეტი ბევრმა იცის, თუმცა ჩემნაირ მიღწევებს ბევრი ვერ შეწვდა.

***— კარგი, მივუბრუნდეთ თქვენს პრაქტიკულ საქმიანობას. როგორც შევიტყვე, მედიცინა და ადამიანის ჯანმრთელობა თქვენი ინტერესის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს.***

— მე არა მხოლოდ ჯანმრთელობა, არამედ ადამიანის დაბერების პროცესის შეჩერების მექანიზმები უფრო მაინტერესებდა და 33 წლის ასაკში უკვე მთლიანად ვფლობდი ინფორმაციას, თუ რატომ ხდება დაბერების პროცესი და რა იწვევს მას. დადგა საკითხი, როგორ შეიძლებოდა შემეჩერებინა და მეტიც, უკან დამებრუნებინა ეს პროცესი. წარმოიდგინეთ, რომ ეს აბსოლუტურად შესაძლებელი გარემოებაა.

აღმოჩნდა, რომ ყველაფერი მზეზეა დამოკიდებული.

თუ ჩვენ არ შევისწავლეთ, რა არის გალაქტიკა, ვერასდროს გავერკვევით ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემებში. თუ არ მოხდა სამყაროს შეცნობა, აბსურდია საუბარი ადამიანის ჯანმრთელობაზე, დაავადებულის განკურნებაზე და სიცოცხლის გახანგრძლივებაზე.

მაგრამ რატომ ხდება ადამიანი ავად?

ყველანაირ დაავადებას იწვევს ზოგადი ან ლოკალური ინტოქსიკაცია, თუმცა შედეგი ყოველთვის არის სისტემური. თუ ადამიანის ორგანიზმში მოხვდა ერთი გრამი შხამი და გახდა ავად, ექიმები უმატებენ მას, მედიკამენტების საკითხით, ოთხ გრამ შხამს. თქვენ მითხარით, შხამით მოწამლულს შხამით უნდა ვუმკურნალოთ? ასე, ვითომ, „მკურნალობენ“ ადამიანებს და მერე იჯილდოებენ საკუთარ თავს მედიცინის დოქტორის, პროფესორის და ა.შ. წოდებებით.

ჩვენ ვცხოვრობთ გალაქტიკის იმ მხარეს, სადაც სიცოცხლე მცირდება და ყველაფერი მატერიალიზაციას განიცდის, საპირისპირო მხარე დადებითი ენერგიის მატარებელია. მე ვფიქრობ, ოდესღაც დადებითი მხრიდან აქეთ სიცოცხლის მარცვალი გადმოვარდნილა გარკვეული კატასტროფის ან დარტყმის შედეგად.



კვლავ დავუბრუნდეთ ადამიანის ჯანმრთელობის საკითხს.

ადამიანის ორგანიზმში დარჩენილი ენერგია დღეს არ არის გარანტი მისი ხანგრძლივი სიცოცხლის. ორგანიზმი ივსება შხამებით, რაც უნდა გამოვდევნოთ და ავავსოთ სასიცოცხლო ენერგიით.

**— სატელევიზიო გადაცემაში თქვენ ბრძანეთ, რომ განკურნებული გყავთ სიმსივნით დაავადებული ადამიანები. რის საშუალებით მიაღწიეთ ამას?**

— 90-იან წლებში მოსკოვში კლინიკა მქონდა და ვმკურნალობდი პაციენტებს.

ამჯერად კი შემიძლია წარმოგიდგინოთ დოკუმენტაცია, რაც ამტკიცებს, რომ მე განვკურნე 22 სიმსივნით დაავადებული პაციენტი.

მკურნალობის ძირითადი მიზანია ადამიანის ორგანიზმის დეზინტოქსიკაცია და შემდეგ სასიცოცხლო ენერგიით შევსება, რეგენერაცია, ანუ იმუნური სისტემის გაძლიერება ცენტრალური ნერვული სისტემის ზეგააქტიურებით.

ამისთვის შევქმენი სპეციალური გენერატორი, რომელიც ადამიანის ორგანიზმის დეზინტოქსიკაციას ახდენს — გამომყავს ორგანიზმიდან შხამები და ამ გენერატორის საშუალებით, ვმუხტავ ადამიანის ორგანიზმს სასიცოცხლო ძალები თ.

**— თქვენ თქვით: კორონა ვირუსის მკურნალობა ჩემთვის ისეთი ადვილია, მეცინება კიდევაც ამაზეო.**

— ამასწინათ ჩემი ახლობლის 15 წლის გოგონა კორონა ვირუსით გახდა ავად. 38 და მეტი სიცხეები ჰქონდა სამი დღის განმავლობაში. მესამე დღეს ის ჩავრთე ჩემი გენერატორით მკურნალობის პროცესში. საღამო ხანი იყო. დილით ავადმყოფი შესანიშნავად გრძნობდა თავს.

**— ამ ვირუსის განკურნება, ზოგადად, არ არის ძნელი, თუ მის სტრუქტურას შეისწავლიანო, ამბობენ.**

— ეს ვირუსი ხელოვნურად არის შექმნილი. თუმცა ვერავინ შეძლებს ისეთი სიმძლავრის ვირუსის შექმნას, როგორიც აქვს, მაგალითად, კიბოს. რამდენიმე ვირუსის ერთობლიობა შექმნეს, მაგრამ ენერგეტიკული პოტენციალი, რაც გააჩნია ამ ვირუსს ჩემს მიერ შექმნილი გენერატორისთვის იმდენად მარტივია, რომ ლაპარაკიც ზედმეტია.

**— დიაგნოზს თვითონ სვამთ თუ პაციენტი დიაგნოზით უნდა მოვიდეს?**

— მე ვიღებ სისხლს და იქედან უკვე ყველაფერი ცხადი ხდება. რა დაავადებაც უნდა იყოს, რა ტიპის ვირუსი თუ სხვა სნეულება, ჩემი გენერატორი მას აცამტვერებს, ორგანიზმში შეჰყავს სასიცოცხლო ენერგია, რომელიც თავად სპობს დაავადებას და ყველაზე მნიშვნელოვანი: ჩემს მიერ შექმნილი გენერატორით განკურნებული პაციენტი სხვა რომელიმე დაავადებით აღარასდროს სნეულდება, რადგან მას სისხლში უკვე აქვს დამცველი ბარიერი, რომელიც სხვა, ახალ დაავადებას ეჯახება და სპობს.

სინამდვილეში, ხდება ის, რომ ამ გენერატორის საშუალებით, ხორციელდება ადამიანის სასიცოცხლო ძალების მობილიზება, აღდგენა, გენერირება და ორგანიზმი თავად ამარცხებს ყველა დაავადებას.

ადამიანის გენს კარგად „ახსოვს“ ჯანმრთელი მდგომარეობა და ის გააქტიურების, სტიმულირების შემთხვევაში, ადვილად იშორებს ზედნადებს. ამიტომ ვამბობ, მიეცით ადამიანს სასიცოცხლო ძალა და ის ყველაფერს დაამარცხებს, სასიცოცხლო ძალა კი მზეა. მზის ენერგიას გამოიმუშავებს ჩემი გენერატორი.

თუ ადამიანს შხამებისგან განვწმენდთ, რაც დაავადებებს და დაბერებას იწვევს, ადამიანის უჯრედები აღდგენას დაიწყებს, ინტოქსიკაცია შემცირდება და გაახალგაზრდავება იწყება. მოკლედ, თუ განიწმინდება ორგანიზმი, ის სულ ახალგაზრდა იქნება.

**— მოკლედ, რას წარმოადგენს თქვენი გენერატორი?**

— იმის გარდა, რაც მოგიყევით, ჩემი გენერატორი უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის და ახალი ლითონების შექმნასაც.

დასაწყისში, ანუ 1992 წელს შევქმენი შედარებით სუსტი გენერატორი, რომელიც ხარისხობრივად არ იყო სრულყოფილი, შემდეგ უფრო ფართო შესაძლებლობების გენერატორი შევქმენი. ეს გენერატორი 2013 წელს გავაკეთე და იგი დღემდე ფუნქციონირებს. მას სჭირდება ორი თვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარგვიდან ან დათესვიდან ორ თვეში მწიფე ნაყოფი წარმოგიდგინოთ. ადამიანის ორგანიზმი კი სრულად რომ აღსდგეს, გაჯანსაღდეს და ასე ვთქვათ, გაახალგაზრდავდეს, გენერატორს ამისთვის ერთი წელიწადი სჭირდება, თუმცა შედეგები ერთი-ორ თვეში თვალსაჩინოა. კიდევ ვიმეორებ, გენერატორს, რომელიც მე შევქმენი, შეუძლია ნებისმიერი დაავადების განკურნება, ვირუსები იქნება, ანთებითი პროცესები, ძვალ-სახსროვანი დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, გენეტიკური პათოლოგიები თუ სხვა და სხვა.

ჩემს პრაქტიკაში არის პაციენტი, რომელიც მე-4 სტადიის ლიმფური ჯირკვლების კიბოსგან განვკურნე ყოველგვარი პრობლემების გარეშე. ეს კონკრეტული პაციენტი თბილისელი კაცია, არქიტექტორი გახლავთ, ის ამჟამად ეგვიპტეში ცხოვრობს. სამ თვეში განვკურნე ეს ადამიანი და დღემდე ჯანმრთელად გრძნობს თავს.

**— სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ხილსა და ბოსტნეულზე გენერატორის მოქმედებების შედეგებზეც მოგვიყევით.**

— ამის მოწმენიც არიან და თვითმხილველებიც, რომ ორ თვეში მოსავალი მოვიდა, ნესვი და საზამთრო დამწიფდა და ა.შ.

თავდაცვის სამინისტროს ტექნოლოგიურ ცენტრ „დელტაშიც“ ჩავატარე ექსპერიმენტი. ეს ცნობილი ფაქტებია.

**— დიახ, მინდოდა ახალი ლითონების წარმოებაზეც გვესაუბრა. როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, შექმენით ლითონი, რომლებიც გაცილებით მდგრადი და უნიკალური იქნება თავისი შემადგენლობით.**

— ამაში არაფერი განსაკუთრებული არაა.

ერთი ძლიერი გენერატორის ქვეშ მოქცეული, ვთქვათ, 1 ტონა გამდნარი ლითონი, ერთ თვეში გარდაიქმნება უნიკალურ ნანო-შენადნობად.

თუ გადავიღებთ საქართველოს საზღვრების სივრცეს და გავაკეთებთ უძლიერეს ელექტრულ ველს რამდენიმე გენერატორით, საშიშროების შემთხვევაში, ნებისმიერ მფრინავ აპარატს გაეთიშება ელექტრული მოწყობილობა და ჩამოვარდება.

**— ბატონო გრიგოლ, კვლავ ლითონებზე მინდა გკითხოთ. ახალი ტიპის ლითონი ჯერ წარმოებული გაქვთ?**

— დიახ. სამი სხვადასხვა ნიმუში შემიძლია გაჩვენოთ.

მენდელეევის ტაბულაში არსებული ყველა ელემენტი და ლითონშენადნობი შემიძლია 100%-იანი სისუფთავის გავხადო ყოველგვარი მინარევების გარეშე.

სხვადასხვა ლითონები შემიძლია გავხადო სხვადასხვა სიმკვრივეების. ზემოთაც მოგახსენეთ, „დელტაში“ უკვე გაიარა ამ ლითონებმა შემოწება და კონტროლი.

მაგალითად, ოქროს სიმკვრივე არის 19,3. 18-მდე რომ ჩამოვა, უკვე ხდება ნახევარგამტარი. 16-ზე დიოდი ხდება. თუ ჩვენ გვინდა „სტელსის“ ვარიანტი უნდა ავიღოთ, ანუ ალუმინი, რომლის სიმკვრივე არის 8. სიმკვრივე შეიძლება მოვუმატოთ ალუმინს და 12 სიმკვრივეზე ექნება “სტელსის“ თვისებები, რაც ნიშნავს, რომ, მაგალითად, თვითმფრინავი იქნება გამჭვირვალე, ვთქვათ, ფრენის მომენტში. მასში იცვლება ენერგეტიკული პოტენციალი, რომელიც თავის ირგვლივ ქმნის გამრუდებულ სივრცეს. ამ სივრცის რადარებიდან წამოსული სხივი კი უკან კი არ ბრუნდება, არამედ ისხლიტება. ეს არის „სტელსის“ ვარიანტი, თუმცა ასეთი „სტელსი“ არავის არ აქვს. და კიდევ ერთი: ასეთ ლითონებს გააჩნიათ ანტიგრავიტაციული მდგომარეობა. სიჩქარე სივრცეში ექნება, თუნდაც, 100 000, ხოლო მისი გაჩერება წამიერად მოხდება.

ასეთი ლითონებისგან დამზადებული კომპიუტერები არ მოითხოვს არც ნახევარგამტარებს, არც დიოდებს, ეს არ იქნება არც კვანტური, ეს იქნება ფოტონური, წარმოიდგინეთ, ლითონი, მინასავით გამჭვირვალე, რომელშიც მოთავსებული იქნება ინფორმაციულ დონეზე არსებული შიდა აპარატურა. მექანიზმი იმუშავებს მზის ენერგიაზე და მას არ დასჭირდება არავითარი საწვავი ან ელექტროენერგია.



ჩემი აღმოჩენების განხორციელება, საქართველოს აძლევს შანსს გახდეს წამყვანი სახელმწიფო მსოფლიოში და საერთოდაც, მსოფლიო გახადოს სხვანაირი.

**— არ მიმართეთ სახელმწიფოს უწყებებს?**

— ჯერ დავიწყოთ იქედან, რომ ჩემი ტექნოლოგიით, საქართველო მსოფლიოში კიდევ უფრო უნიკალური ქვეყანა გახდება და მაქსიმალურად დაცული იქნება.



რაც შეეხება მაღალი ეშელონების დაინტერესებას. მათგან ინიციატივა და ყურადღება არის ნული, თუმცა მშვენივრად აღიქვეს და მიხვდნენ ჩემი აღმოჩენის უნიკალურობას. თვითონვე თქვეს: ეს რომ იცოდნენ ამერიკელებმა, ებრაელებმა, ან სხვებმა, ამ ადამიანს წაგვართმევენო.

უკრაინაში უნდოდათ ჩემი გენერატორის წაღება, ისრაელშიც, მაგრამ ამის უფლება და საშუალება არ მივეცი. ჩემს წინააღმდეგაც არიან, მაგრამ ვერ გამანადგურებენ, რადგან თუ არ ვიქნები, გენერატორის მოქმედებას ვერ განახორციელებენ.

**— რუსეთიდან რატომ წამოხვედით. როგორც თქვით, იქ კლინიკა გქონდათ, სამხედრო-თავდაცვითი თვალსაზრისითაც შეგეძლოთ შეგეთავაზებინათ გენერატორი რუსეთისთვის. ბოლოს და ბოლოს, ეს უზარმაზარ მოგებას მოგიტანდათ.**

— დღესდღეობით გენერატორს ძლივს „ვაცოცხლებ“, რადგან მას მაღალი სითბური და ელექტრული ველი სჭირდება და ეს დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ძლივძლივობით ვიხდი მაღალ გადასახადებს ელექტროენერგიის და გაზის, რომელთა შეწყვეტა მწყობრიდან გამოიყვანს ამ უნიკალურ დანადგარს. ცხადია, მისი შექმნა ხელახლა არის შესაძლებელი, მაგრამ ამას დრო, ენერგია, ახალი ხარჯები სჭირდება და, საერთოდაც, რატომ უნდა განადგურდეს ის, რაც უკვე შექმნილია და მშვენივრად ფუნქციონირებს?

დიახ, რუსეთში მე მქონდა კლინიკა, სადაც ვკურნავდი პაციენტებს.

2006 წელს ყოველ ნახევარ წელიწადში მხოლოდ კვლევებისათვის 3 მლნ. დოლარის ინვესტიცია შემომთავაზეს რუსებმა. განიზრახეს ფირმის შექმნა, რომლის შემოსავლის ნახევარი ჩემი უნდა ყოფილიყო. იყო სხვა საინტერესო შემოთავაზებებიც, მაგრამ მე ყველას უარს ვეუბნებოდი. საქართველოსკენ მომიწევდა გული. არ მინდოდა, სხვის ხელში აღმოჩენილიყო ჩვენი მიღწევა.

აუარებელი პაციენტი მყავდა რუსეთში. უმაღლესი რანგის სახელმწიფო პირებს ვმკურნალობდი. 2008 წელს ჩემი ბოლო პაციენტი რუსეთში სტრატეგიული სამხედრო რაკეტების უფროსი ბატონი ივანოვი გახლდათ. მან დამირეკა და მითხრა: კრასნოდარში წვრთნები გვაქვს, თვენახევარში დამთავრდება და უნდა მიმკურნალოო. თუმცა მე ომის შემდეგ უკვე იქ დარჩენა აღარ მინდოდა და წამოვედი.

რატომ ვუთხარი რუსებს უარი?

როგორც გითხარით, უზარმაზარ თანხებზე იყო საუბარი, ბინა, აგარაკი, ყველანაირი უზრუნველყოფა გარანტირებული მქონდა, მაგრამ ამ შემოთავაზებებს რომ დავთანხმებოდი, მათ ხელში ძალზე საშიში იარაღი ვხდებოდი, მათ უკვე ჩემზე უფლებები ეძლეოდათ, ამ უფლებებს მე ჩემი ნებით ვაძლევდი მათ. როცა უნდოდათ და რაც უნდოდათ, იმას მაიძულებდნენ და გამაკეთებინებდნენ. რუსი რომ ვყოფილიყავი კი, ბატონო, მაგრამ ქართველი ვარ და საქართველოს მინდა მოვახმარო ის, რაც ვიცი და რაც შემიძლია, ამისთვის კი თანადგომა და დახმარება მჭირდება.

**დაბოლოს**, ნურავინ მენდობა სიტყვაზე, დაუჯერონ მხოლოდ ფაქტებს.

მე შემიძლია, წარმოვადგინო კონკრეტული ფაქტები, რომელიც ჩემი აღმოჩენის რეალობას ამტკიცებს.

მე შემიძლია, წარმოვადგინო ლითონს ნიმუშები, რომელთა ანალოგი მსოფლიოში არ მოიძებნება.

მე შემიძლია, წარმოვადგინო ცნობილი მეცნიერების დასკვნები ამ ლითონების შესახებ, სადაც მათ უნიკალურ მახასიათებლებზეა საუბარი და დადასტურებულია, რომ ეს სრულიად ახალი სიტყვაა მეტალურგიასა და ლითონწარმოებაში, რომელიც ქვეყნის თავდაცვისა და სამხედრო შეიარაღების თვალსაზრისით, წარმოუდგენელი მასშტაბების შესაძლებლობებს გვაძლევს.

მე შემიძლია, დავასახელო ის კლინიკები და კომპანიები, სადაც კვლევებს ვაწარმოებდი, დავასახელო ადამიანები (მათ შორის ძალიან ცნობილი პირები), რომლებიც განვკურნე.

არსებობს „დელტაში“ ჩატარებული ექსპერიმენტების დასკვნები, სხვა დოკუმენტები, რომლებიც აგრარულ სექტორში ჩემი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგებს ადასტურებენ.

**ნუ დამეხმარებით მე, დაეხმარეთ საქართველოს, რომ ჩემი აღმოჩენები ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას მოხმარდეს.**

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



**გიგლა გოგიჩია — ჟურნალისტი, პროფესორი, ქართველ გამომგონებელთა, ნოვატორთა და სახალხო მკურნალთა ასოციაცია „ლაზაროსის“ თავმჯდომარე:**

**— გრიგოლ იზორია არის თანამედროვე ნიკოლა ტესლა. მის საოცარ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მას პირველ რიგში, მხარი სახელმწიფომ უნდა დაუჭიროს, რადგან ამ ადამიანის საქმიანობა, უპირველესად, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მყარი გარანტიაა.**

**უნიკალური ქვეყანა გავხდებით მსოფლიოში მეტალურგიის განვითარების მხრივაც. გრიგოლ იზორია მეტალურგიაში 21-ე საუკუნის გასაოცარ მიღწევებს გვთავაზობს, მით უფრო, რომ ამ კუთხით საქართველომ ჩანასახში მყოფ მსოფლიო ცივილიზაციას ისედაც დიდი წვლილი დასდო. როგორც ვხედავთ, ტრადიცია გრძელდება. ამ სფეროში უნიკალური აღმოჩენა სწორედ ქართველისგან არის.**

**მერწმუნეთ, სახელწმიფო დონეზე განხორციელებული მხარდაჭერით, გრიგოლ იზორია შექმნის საოცრებებს სოფლის მეურნეობასა და მედიცინაში.**

**პირადად მე, დოკუმენტურად დადასტურებული და საკუთარი თვალით ნანახი შემთხვევები შემიძლია წარმოგიდგინოთ იმის დასამტკიცებლად, რომ გრიგოლ იზორია თანამედროვეობის უდიდესი ნოვატორია და მას სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა სჭირდება.**

# მლაშეები მიშლამისტური ფუნდამენტალიზმის ბანაკიდან

## ვუყურებ ამ ლაშა ბუღაძეს და რატომღაც ლევან ბერძენიშვილის გაკეთებული მგონია...





როგორც კი გაუღო ციხის კარი მადამ პრეზიდენტმა ირაკლას და გიგილოს, ეგრევე გაცვივდნენ ტელესტუდიებში და დაიწყეს „თავმდაბლური“ ლაპარაკი, ღვაწლმოსილი ხალხი კი ვართ, პატრიოტები, ეროვნული გმირები, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკის გრანდები რომ გაისარჯნენ ჩვენს გამო, ცოტა არ იყოს, გვრცხვენიაო.

ჰო, ირაკლამ თქვა ზუსტად ეგრე, მსოფლიო პოლიტიკის გრანდებიო!

ვინ არი, ბიჭო, გრანდი, სენატორი ჯიმ რიში, ან იქნებ ევრო-



დეპუტატი ანდრიუს კუბილიუსია გრანდი, რომელსაც „ნაციონალების“ გარდა არავინ იცნობს?

მაგათ შორის ერთი სენატორი ადამ კინზინგერია ცოტა ახალგაზრდა და ეგეც „ფრონტერას“ დუდუკზე უბერამს თვეში 3 ათასი დოლარის სანაცვლოდ.

მოკლედ, გამოვიდა ირაკლა ოქრუაშვილი, უფრო სწორედ, გამოიყვანეს ერთ-ერთ ტელესაკანალიზაციო ყუთში და თქვა: მე რომ მიშამ დამიჭირა, ჩემი ბრალი იყო, რაღაცები გადავამლაშეო.

ჰო, გა-და-ვა-მლა-შეო! — ზუსტად ეგრე განაცხადა თავისსავე მოთხლეშილი პირით. სხვათა შორის, სანამ ამას იტყოდა, ორი თითით მკვეთრად ჩაღრმავებული ნიკაპი მოიფხანა, რა დროსაც ზედა, ასევე მკვეთრად ჩაღრმავებულ ტუჩზე, ცხვირს ქვემოთ როა, ჭირის ოფლმა დაასხა.

ვაიმეეეე... ჭირის ოფლზე ჩემი კლასელი ბეჟანა გამახსენდა: პირველიდან მეათე კლასამდე ზედა, ჩაღრმავებულ ტუჩზე, ანუ საულვაშეზე სულ ოფლი ასხამდა. ააყენებდა მასწავლებელი, დააყუდებდა დაფასთან, გამოჰკითხავდა გაკვეთილიდან რამე-რუმეებს, მაგრამ რა აზრი ჰქონდა? ისე გავლიეთ 10 წელიწადი, არც ერთ წიგნში არ ჩაუხედავს. გეეთრეოდა დაფასთან წელმოწყვეტილი და იღვრებოდა ოფლად.

- ჰააა, დაგასხა ჭირის ოფლმა, შე აჯამო მამაძაღლო?! — დაჰყვირებდა შალიკო მასწავლებელი და ასწევდა მარჯვენა ფეხსა ყვერებში ამოსარტყმელად. თუმცა, გაახსენდებოდა, რომ დიდ სამამულო ომში გათახსირებულმა ფაშისტებმა სწორედ მარჯვენა დუნდულში დაჭრეს და ეგრევე ჩამოსწევდა ხოლმე კვნესით.

ჰოდა, ვუყურებ ამ ირაკლასა და ბეჟანა მახსენდება... ტიპი მიშას აუხტა, იმან ორი დღით „კაპეზეში“ შეაგდო, მერე ტელევიზორში გამოაგდო სპორტულებით, აბლუყუნა, ბოდიში, გადავამლაშეო, თან ჭირის ოფლი სდიოდა ნესტოებს ქვემოდან. მერე ჩასვა „ფიფრინავში“, ამოარტყა პანჩური და გააფრინა პარიზში.

მოკლედ, გადავამლაშეო, ირაკლამ, მივქარე და ბებიაჩემისა ვჭამეო. საერთოდ, ცხოვრებაში მლაშე ადამიანი ვარო, საულვაშიდან სულ მლაშე ოფლი მდის წურწურითო. ესე იგი, კი მიხვდა, მიშასთან რომ გადაამლაშა, მაგრამ ბიძინასთანაც რომ ამლაშებს, მაგას ვერ ხვდება.

თქვენი არ ვიცი და... მე უკვე დავრწმუნდი, რომ მიშლამისტური ფუნდამენტალიზმი განუკურნებელი სენია. თუ ერთხელ „განაცდი“, თუ ერთხელ ის ჰაერი ჩაისუნთქე, რომელიც მიშამ ამოისუნთქა, მორჩა, სამუდამო სიბრიყვისთვის ხარ განწირული.

გითხრათ, რა იქნება შემდეგ? ირაკლა თავის კანდიდატურას წარადგენს მაჟორიტარად გორში და მიიღებს 0001%-ს. მერე ატეხავს ამბავს, ბიძინამ გამიყალბაო, პოლიტიკაში არ მიშვებსო, კაცი არ ვიყო, თუ მაგას თვალებში არ ჩავხედოო. აეგრე იშავდღევებს, იბოდიალებს, მიედება, მოედება და გაქრება შარშანდელი თოვლივი თ. ეგეც აღარ მახსოვს, შარშან თოვლი იყო საერთოდ? მგონი არ ყოფილა.

ირაკლა იქით იყოს და... კიდევ ერთი მლაშე უნდა გაგაცნოთ. პრინციპში, გაგაცნოთ რა, მე მგონი, ისედაც იცნობთ. შეხედავთ, ბალღსა ჰგავს, წლოვანებით კიდე სულაც არ არი ბალღი. ტელევიროში გამოჰყავთ ხოლმე, როგორც განათლებული, ბევრი წიგნის წამკითხველ-ამხსნელი და თავადაც წიგნების მჯღაბნელი. დიახ, მჯღაბნელი-მეთქი, სწორად წარმოვთქვი, რადგან სახელი მეფე თამარის ლანძრვითა და გათახსირებით გაითქვა. აი, მიხვდით, ხომ? ეგ არი, ვინმე ლაშა ბუღაძე, რომელიც ტელევიზორში წიგნების წაკითხვას გვასწავლის და ხშირად ჭკუასაც ეკითხებიან ხოლმე მიმდინარე მოვლენებზე.

აგერ, კომენდანტის საათი რომ გამოცხდდა, ეგრევე მიიწვიეს ტელევიზორში და პანდემიის თაობაზე გაუბეს საუბარი. ამანაც, ამ ბუღაძემაც თავი ისე დაიჭირა, გეგონება ამ საქმის უდიდესი სპეციალისტი გვყავდეს. ისაო, როგორც პლუტარქე და ტრანკვილიანე ამბობდნენო, ეგრე არ არი, თაყაო. ჰო, კაი, პლუტარქე გაგვიგონია, მაგრამ ეს ტრანკვილიანე ვინღაა? არავინ, ეგეთი მოღვაწე არ არსებობს არც ბერძნულ და არც რომაულ ფილოსოფიაში, არც ლიტერატურაში, არც სოფლის მეურნეობაში. არსაიდან, უბრალოდ ყური აქვს მოკრული რაღაცისთვის და შინაარსი კი არა, სახელის ვერ დაიმახსოვრა. უნდა ეთქვა, „თორმეტი კეისრის ცხოვრების” ავტორი გაიუს სვეტონიუს ტრანკვილიუსიო, — ამან კიდევ ტრანკვილიანეო.

ეხლა ერთი უცნაური რაღაცა უნდა ვთქვა: ვუყურებ ამ ლაშა ბუღაძეს და ლევან ბერძენიშვილის გაკეთებული მგონია. არა, არც მამამისი გია ბუღაძეა მთლად დალაგებული, მაგრამ ლევანა რომ წაუტრანკვილიანებს ხოლმე, ესეც ზუსტად აეგრე შვრება.

სხვათა შორის, აქვე ჩემ ნაკლზეც უნდა ვთქვა: გავიფიქრებ თუ არა ლევან ბერძენიშვილზე, ეგრევე მახსენდება დავით ბერძენიშვილი, მისი ძმა, რომელიც მხოლოდ პოლიტიკოსობს. ამას წინებზე გული გადაგვიღელა, ჩვენაო, რესპუბლიკელებმაო, ბიძინა ივანიშვილს ირაკლი ღარიბაშვილი ულტიმატუმებით გავაშვებინეთო... თან ისეო, ღარიბაშვილმა ამის შესახებ არაფერი იცოდაო.შევაშინეთ და თინა ხიდაშელიც დავანიშნინეთ თავდასვის მინისტრადო.

ჰმ... არ იცოდაო, შევაშინეთო, ხიდაშელი დავანიშნინეთო. დავუშვათ და შეაშინეს, დააშანტაჟეს, დაანიშნინეს, რა ჩემი ფეხები მიიღეს? დღეს ირაკლი ღარიბაშვილი თავდაცვის საუკეთესო მინისტრია, ხიდაშელი სამზარეულოში ზის, ხოლო ესენი, ვითომ პოლიტიკოსები შალიკოს ფანჩატურში სხედან დღეგამოშვებით. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილიც თავის ადგილზეა და თავს მშვენივრად გრძნობს.

ისე ვერ დაგემშვიდობებით, უგულავაც არ ვახსენო კიდევ ერთხელ. ამასაც გასდის ხოლმე მლაშე ოფლი, ოღონდ უკანალიდან. ამას კორუფციასა და ფულზე აქვს გართულება... უყვარს ფულზე ლაპარაკი. გამოუშვეს თუ არა, ეგრევე წარიტაცეს სტუდიაში და ალაპარაკეს, როგორი მძიმე პერიოდი გველოდება წინ — შიმშილი, უფულობა, გაჭირვება და ასე შემდეგ. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებაში ისევ იქნება „ქართული ოცნება“. აქ ერთი ბრძნული რამეც წამოსცდა: ისაო, 8 წელიწადი ერთი ხელისუფლება რომ გყავს, ცვდება, ძველდება და არაფრის მაქნისი ხდებაო. გაიგონეთ? ცვდება და ძველდებაო. თუმცა ის ვეღარ მოტვინა, ამ ჩემისამ, რომ თვითონ 10 წელიწადი ეგდო ხელისუფლებაში და ეხლა კიდევ იწევს, კიდევ უნდა მოსვლა. ვერ გავიგე, 2012 წლის შემდეგ უგულავას „კაპიტალკა“ ჩაუტარეს და გაახლდა?!

ძვირფასო მკითხველებო, უგულავას „კატეხიზმოს“ თქვენ გიტოვებთ განსჯისთვის კი არა, გასართობად, გასაცინებლად.

ღმერთო, დალოცე საქართველო, ამ იდიოტების გარეშე!



**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983